ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 7 დეკემბერი, 2020 №253 (8517) ფასი: 60 თეთრი

აშშ-ის ვიზებთან დაკავშირებული თალლითობისთვის ჯიმი მაქაცარია და სოფიო ჩაგანავა დააკავეს

გვ.5

„ივანიშვილმა კობახიძე გადამალა და თალაკვაძეს ალაპარაკებს“

გვ.2

გია ხუხაშვილი: „არჩევნები ხომ გაყალბდა, ახლა პლებისციტიც უნდა გაყალბდეს და ის ჟვანიამ უნდა ჩაატაროს?!“

„გირჩს“ ჩხუბიც კი ეპატაჟური აქვს, ჯერ ინტიმური ადგილი გამოაჩინეს, ახლა პოლიტიკურად ინტიმურ თემებზე გველაპარაკებიან“

„ოცნებამ“ და ოპოზიციამ ქვეყანა გადააყოლეს თავიანთ საქმის გარჩევებს“

გვ.3

თორნიკე შარაშენიძე: „თუ გაზაფხულისთვის მოგვისწრებს ვაქცინა და ზაფხულში ეკონომიკა ამუშავდება, არის შანსი, რომ გამოძვრეს „ოცნება“

ირმა ნადირაშვილი: „ხელახალი არჩევნების მოთხოვნას არ დავთმობთ“

გვ.2

გვ.3

ასლან ბჟანია: „რუსეთის გარეშე არც ეკონომიკა გვექნება და არც სინათლე“

რუსეთი ოკუპირებულ აფხაზეთს გაურკვეველ კავშირში ითრევს

გვ.4

ვახტანგ ხმალაძე: „ხელისუფლების ადგილზე რიგგარეშე არჩევნებს დავთანხმდებოდი“

პეტრე მამრაძე: „ხალხი პლებისციტის წინააღმდეგია“

ვახტანგ გომელაურმა კორონავირუსის მართვის პროცესთან დაკავშირებით ეკატერინე ტიკარაძესთან „112“-ში სამუშაო შეხვედრა გამართა

გვ.2

ISSN 1987-9385

5 ტაქსის კოვიდინფიცირებულ მძღოლს მგზავრები გადაპყავდა

6 დიდ ბრიტანეთში კორონავირუსის ვაქცინა მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი 2 კვირაში იქნება

5 კანონიერი ქურდის, ბორია აფაქელას, სახელით ბიზნესმენს 10.000 დოლარის გადახდა მოსთხოვეს

6 საფრანგეთის მთავრობა 76 მეჩეთის დახურვას აპირებს

„ივანიშვილმა კობახიძე გადამალა და თალაკვაძეს ალაპარაკებს“

იაგო ნაცვლიშვილი

იქმნება თუ არა შთაბეჭდილება, რომ ოპოზიცია კომპრომისზე მიდის „ქართული ოცნებისთვის“ შეთავაზებულ შეთანხმების პაკეტში? რას მიიჩნევს კრიზისიდან გამოსავლის გზად და რატომ არ იღებენ მას პოლიტიკური მხარეები? — ამ და სხვა კითხვებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი საუბრობს:

„გირჩს“ ჩხუბიც კი ეპატაჟური აქვს, ჯერ ინტიმური ადგილი გამოაჩინეს, ახლა პოლიტიკურად ინტიმურ თემებზე გველაპარაკებიან“

– ოპოზიციამ მოამზადა შეთანხმების პაკეტი, მართალია მისი შინაარსი ჯერ უცნობია, მაგრამ გარკვეული ინფორმაცია მაინც ვრცელდება. კომპრომისის შთაბეჭდილება იქმნება?

– კი და სწორიც არის. იმიტომ, რომ მოლაპარაკებებს აზრი აქვს მაშინ, როდესაც ორივე მხარე მზად არის, რაღაცა დათმოს. როდესაც მხარეები წითელი ხაზების დეკლარირებას ახდენენ ისე, რომ ისინი არა თუ არ იკვეთებიან, არამედ მათი ქმედებები ურთიერთგამომრიცხავია, მაშინ მოლაპარაკება ვერ შედგება. მაშინ, როდესაც ქვეყანაში ძალიან სერიოზული გამოწვევები გვაქვს, ძირითადად ორი შიშის მართვის თვალსაზრისით – სიკვდილის შიშისა და შიმშილის შიშის თვალსაზრისით. ამ ვითარებაში პარტიები ვალდებულებიც კი არიან, რომ კომპრომისები გამოიძებნოს პოლიტიკურ პროცესში.

თუ ისინი მზად არიან ამისთვის, რომ რეალურად დათმონ რაღაცა, ამას მივესალმები. თუ კრიზისს ვერ ვლახავთ დღეს, ყოველ შემთხვევაში, კონსერვაცია რომ მაინც მოხერხდეს გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მე ამას მხოლოდ მივესალმები.

– დავინახეთ, რაც გააკეთა ივანიშვილმა პროპორციული არჩევნების დროს. თქვენ კარგად იცნობთ ივანიშვილის პერსონას. იმიტაციის სურვილი ხომ არ ამოძრავებს მას?

– რა თქმა უნდა, მას ექნება იმიტაციის სურვილი. ის არის ტაქტიკოსი. გრძელვადიან ამოცანებს არ ისახავს. პრობლემა დაიბადა და ცდილობს, რომ გადაწყვიტოს მის ხელთ არსებული ნებისმიერი ინსტრუმენტებით. მათ შორისაა მოსყიდვა, შანტაჟი, დაშინება და ა. შ. ახლა კონსტრუქციობანას თამაშობენ, გადამალეს კობახიძე და ალაპარაკებენ დავარცხნილად თალაკვაძეს. ეს ყველაფერი ტაქტიკური ტრიუკებია. ვნახოთ, სადამდე მიგვიყვანს ეს ყველაფერი. არ მინდა სკეპტიკური ვიყო, თუმცა ჯერჯერობით კონკრეტიკას ვერ ვხედავ.

ორივე მხარე ეპრანჭება ჩვენ უცხოელ მეგობრებს და ვინ უფრო კონსტრუქციულია, ამ ფაზაში არიან. აქამდე, თუ ვინ უფრო აგრესიულია, ამაში ეჯიბრებოდნენ, ახლა ერთმანეთს ეჯიბრებიან დასავლეთის თვალში ნაცრის შესაყრელად, რომ არა მე უფრო კონსტრუქციული ვარ და არა მე უფრო ვარო.

– ამ ფონზე გამოდის მამუკა მდინარაძე და პირდაპირ ამბობს, რომ წითელი ხაზია ვადამდელი არჩევნები. ეს რას ნიშნავს?

– ამას ვამბობ, რომ ურთიერთგამომრიცხავია მათი წითელი ხაზები. პლებისციტის თემა შემოვიდა და ესეც არ მესმის მაინცდამაინც. თუ ოპოზიცია ამაზე დათანხმდება, მე მზად ვარ, რომ მივიღო. პლებისციტის შედეგების პროგნოზირება წინასწარაც შეიძლება, პლებისციტი არ არის სავალდებულოდ შესასრულებელი. ვინ უნდა ჩაატაროს. ისევ ჟვანიამ უნდა ჩაატაროს და ისევ იმაზე უნდა იყოს ლაპარაკი, რომ გაყალბდა?! არჩევნები ხომ გაყალბდა და ახლა პლებისციტიც უნდა გაყალბდეს თუ როგორ?! რაღაც ასეთი ვითარებაა, ძალიან უცნაურია, მაშინ როდესაც, საგზაო რუკის სხვადასხვა ვარიანტებია, რომლითაც შეეძლოთ უფრო კვალიფიციურად წაეყვანათ ეს პროცესი.

კი ბატონო, ვერ თანხმდებიან – ერთი ამბობს გაყალბდაო და მეორე ამბობს, რომ არ გაყალბებულაო. რა გამოსავალია ამ შემთხვევაში? – გამოვიძიოთ. საგამოძიებო კომისიის შექმნა შეიძლება პარლამენტში, თანაც ფართო უფლებებით. დაიკითხება ყველა, ჟვანიათი დაწყებული.

– ეს საქმეს ალბათ გააშიშვლებს, მაგრამ საქმე ისევ სასამართლოში უნდა წავიდეს, რომელსაც მურუსიძე-ჩინჩალაძის კლანი აკონტროლებს. ამით რა შეიცვლება?

– არა. აი ნახეთ, აღიძვრება სისხლის სამართლის საქმეები იმ ადამიანებზე, ვინც იქ ხელმოწერები გააყალბა, რიცხვები გადააკეთა და ა. შ. პარალელურად შეიტანენ იმ აუცილებელ ცვლილებებს ადმინისტრაციული დაკომპლექტების წესთან დაკავშირებით და ა. შ. თუ კომისიის დასკვნამ აჩვენა, რომ გაყალბებამ არსებითად შეცვალა არჩევნების შედეგები, ხელისუფლება რიგგარეშე არჩევნებს უნდა დათანხმდეს. ესაა ცივილიზებული გზა.

აბსურდი იცით, რა არის? ხელისუფლებას, რომ არ უნდა ეს, ეს გასაგები და ლოგიკურია, მაგრამ ოპოზიციასაც არ უნდა. მაშინ მიჩნდება კითხვა, რატომ არ უნდა ოპოზიციას, რომ ეს გამოვიძიოთ?!

– გაქვთ ამ კითხვაზე პასუხი?

– მე არ მაქვს პასუხი, მე მხოლოდ კითხვა მაქვს. ხელისუფლებასაც ვერ ექნებოდა არგუმენტი, რატომ არ მიდის ამაზე, რადგან ის ხომ დარწმუნებულია, რომ არ ყოფილა გაყალბება. მე ვფიქრობ, რომ ამით კრიზისის მინიმუმ გადავადება შეიძლებოდა. ჩვენ გვაქვს რთული ზამთარი, გადავიტანდით ზამთარს და გაზაფხულზე კომისიის დასკვნა რომ დაიდებოდა, შეიძლება დასკვნაზეც ვერ შეთანხმებულიყვნენ, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ეს ზამთარი გადაგორებული გვექნებოდა და მერე თუ უნდოდათ, ქუჩაში გავიდოდნენ და რასაც უნდოდათ, იმას იზამდნენ.

– საზოგადოებაში ტემპერატურა არ დაიწევდა?

– იმ შემთხვევაში დაიწევდა, თუ დასკვნაზე შეთანხმდებოდნენ, მაგრამ ჩვენ ხომ არ გამოვრიცხავთ იმას, რომ დაიწერება დასკვნა, რომელსაც ერთი ასე წაიკითხავს და მეორე ისე. ჩვენ ხომ ამის გამოცდილებაც გვაქვს, მაგრამ საქმე წინ იქნებოდა წაგდებული. კოდექსში იქნებოდა ცვლილებები მიღებული, საბრალდებო დასკვნა იდებოდა მაგიდაზე, რომელსაც უცხოელები წაიკითხავდნენ და დარწმუნდებოდნენ, რასთან გვქონდა საქმე. ეს იქნებოდა დიდი საჯარო პროცესი თავისი დაკითხვებით, თამარ ჟვანიას დაკითხვით პირდაპირ ეთერში. ხომ გვინახავს ასეთი რაღაცები ამერიკულ ფილმებში?!

ეს იქნებოდა რეალური პოლიტიკური პროცესი. კრიზისის გადალახვა არ იქნებოდა, მაგრამ უფრო ცივილიზებულ გარემოში მოხდებოდა კრიზისის გადატანა, რაც საშუალებას მოგვცემდა, რომ ორი ფუნდამენტური პრობლემა ყოველგვარი რყევების გარეშე გვემართა. არც ერთ მხარეს არ უნდა და ეს არის ყველაზე საინტერესო. შეიძლება ეზარებათ, შეიძლება გამოძიების იმედი არ აქვთ, რომ გამოძიებით რაღაცის დადგენა შეიძლება.

– „გირჩში“ მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით რა შთაბეჭდილება გრჩებათ? რასთან გვაქვს საქმე?

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ირმა ნადირაშვილი: „ხელახალი არჩევნების მოთხოვნას არ დავთმობთ“

იაგო ნაცვლიშვილი

ოპოზიცია და ხელისუფლება ამერიკისა და ევროკავშირის ელჩების მედიაციით ისევ მოლაპარაკების რეჟიმში არიან. ოპოზიციის პაკეტში არის თუ არა საუბარი კომპრომისზე, კომპრომისად უნდა მივიღოთ თუ არა ის, რომ მოხსნან რიგგარეშე არჩევნების ჩატარების მოთხოვნა და ხომ არ ჩნდება დისონანსი ოპოზიციაში? — ამ და სხვა კითხვებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი ირმა ნადირაშვილი საუბრობს.

– ოპოზიციამ ხელისუფლებას წარუდგინეთ პაკეტი, რომელმაც პოლიტიკური კრიზისი უნდა განმუხტოს. დეტალებზე ჯერ არ საუბრობთ და მესმის, რომ შინაარსზე ვერ ისაუბრებთ, მაგრამ ეს ნიშნავს, რომ კომპრომისის მიმართულებით ნაბიჯი გადადგით?

– რა თქმა უნდა, მოლაპარაკებების დროს მხარეები შეიძლება ნავიდნენ კომპრომისზე, მაგრამ კომპრომისის გარეთ რაც დგას, ეს არის ხელახალი არჩევნების საკითხი. ეს არ არის კომპრომისის თემა და თუ აქედან დაიწყება საუბარი, მაშინ, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ ყველა მხარემ ილაპარაკოს კომპრომისზე. მთავარი საკითხი, რაც არ ექვემდებარება გადასინჯვას ჩვენი მხრიდან, ეს არის ხელახალი არჩევნები.

– ეს არის პრინციპული საკითხი, რომელსაც არავითარ შემთხვევაში არ დათმობს ოპოზიცია?

– არა. იმიტომ, რომ ჩვენზეც არ არის დამოკიდებული. ამომრჩეველმა გაყალბებული რეალობითაც კი ხმა მისცა ცვლილებებს. პირველ ტურში 52% ჰქონდა ოპოზიციას ჯამურად და მივიღეთ ვითარება, როდესაც საპარლამენტო უმრავლესობას ისევ ფლობენ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები. ეს არ არის არჩევნების შედეგების რეალური ასახვა და, შესაბამისად, ჩვენი ვალია, რომ დავიცვათ იმ ადამიანების ხმები, ვინც ასეთ რთულ პირობებში დაგვიჭირეს მხარი.

– კომპრომისი ნიშნავს თუ არა იმას, რომ თუ ვადამდელი არჩევნები დაინიშნება, მზად ხართ შეხვიდეთ პარლამენტში და მიიღოთ მონაწილეობა საპარლამენტო ცხოვრებაში?

– თუ ვადამდელი არჩევნები დაინიშნება, მაშინ ამ საკითხზე საუბრის დაწყება შესაძლებელია, მაგრამ ალბათ ბევრი დეტალის განხილვა იქნება საჭირო ამ შემთხვევაში. მათ შორის, როგორი იქნება საარჩევნო ადმინისტრაცია. იმიტომ, რომ ამჟამინდელი ადმინისტრაციის პირობებში იგივე შედეგს მივიღებთ, რომელიც ახლა არსებობს. სისტემა მაქვს მხედველობაში და არა პიროვნებები. იმიტომ, რომ ერთი თამარ ჟვანიას მეორე თამარ ჟვანიათი ჩანაცვლება აბსოლუტურად ვერ შეცვლის სურათს.

შესაბამისად, თუ ვადამდელი არჩევნები დაინიშნება და თუ ამ საკითხზე ხელისუფლების მხრიდან იქნება მზაობა, ჩვენ ჩვენი მხრიდან გამოვთქვამთ მზაობას, რომ დავიწყოთ ლაპარაკი იმაზე, თუ რა პირობებით შეიძლება შევიდეთ პარლამენტში.

– შესაძლოა, ხელისუფლებამ დათმოს და თქვას, რომ მოდის ვადამდელი არჩევნების ჩატარებაზე მაგრამ ამის შესრულების რა გარანტია გექნებათ?

– ბიძინა ივანიშვილი გადაგდებების ოსტატია და მან საჯაროდ დადებული პირობა გატეხა პროპორციული საარჩევნო სისტემის მიღებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ეს საფრთხეები ახლაც არსებობს, მაგრამ აქ დაცვის მექანიზმი არის ის, რომ ეს მოლაპარაკებები ფასილიტატორების თანდასწრებით მიმდინარეობს. შესაბამისად, ალბათ, მეტი გარანტიაა იმის, რომ ბიძინა ივანიშვილი არ მოინდომებს მათ გადაგდებასაც.

ხელისუფლება დღეს არის ძალიან რთულ ვითარებაში. ჯანდაცვის სისტემა ჩამოქცეულია და ხედავთ, რომ ადამიანები, მათ შორის ძალიან ახალგაზრდები, უბრალოდ იღუპებიან იმის გამო, რომ ვერ იღებენ სამედიცინო მომსახურეობას.

გარდა ამისა, სერიოზული პრობლემაა ეკონომიკასთან დაკავშირებით. ბიძინა ივანიშვილი ამხელა წნეხს ვერ გაუძლებს და ასეთ ვითარებაში ჩრდილო კორეის ტიპის საქმიანობა კიდევ უფრო მეტ საფრთხეს უქმნის ბიძინა ივანიშვილს და ეს არის ფაქტი. იმიტომ თუ იქნება დაპირება, ალბათ ამასაც გაითვალისწინებენ, რამდენად ცუდად მოქმედებს მათზე მორიგი გადაგდება.

– ამ პაკეტთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა ხომ არ არის ოპოზიციაში და დისონანსი ხომ არ შეინიშნება? პარასკევს ელჩებთან შეხვედრაზე, მაგალითად, შალვა ნათელაშვილი არ იმყოფებოდა.

– შალვა ნათელაშვილი რატომ არ იმყოფებოდა შეხვედრაზე, ვერ მივადევნე თვალ-ყური ამას. ეს ალბათ განმარტა შალვა ნათელაშვილმა.

რაც შეეხება პაკეტის შემუშავებას, იქ იყო აზრთა სხვადასხვაობა და იყო ცხარე კამათიც. ეს საჯაროდაც ითქვა ოპოზიციის მხრიდან. მაგრამ, რადგანაც მოხდა შეჯერება და ამ პაკეტით მივდივართ ოპოზიცია, ეს თავისთავად ნიშნავს, რომ ეს აზრთა სხვადასხვაობა ამოწურულია და ყველამ თავისი პოზიციების შერბილება სცადა, რათა საერთო წინადადებისთვის მიგვეღწია. ფაქტია, რომ დღეს ასეც არის.

ვახტანგ გომელაურმა კორონავირუსის მართვის პროცესთან დაკავშირებით ეკატერინე ტიკარაძესთან „112“-ში სამუშაო შეხვედრა გამართა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა კორონავირუსის მართვის პროცესთან დაკავშირებით ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრთან – ეკატერინე ტიკარაძესთან „112“-ში სამუშაო შეხვედრა გამართა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ში მინისტრები პანდემიის პირობებში მიმდინარე სამუშაო პროცესს გაეცნენ. „112“ აქტიურად არის ჩართული კორონავირუსის მართვის პროცესში და განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობს, რათა თითოეულმა მოქალაქემ დროული და მაღალკვალიფიციური მომსახურება მიიღოს.

– დღეს ოპერატორების რაოდენობა დაახლოებით გასამმაგებულია, რაც იყო ჩვეულებრივ რეჟიმში, გასამმაგებულ რეჟიმში მუშაობენ ოპერატორები. დღეს 300 ოპერატორი მუშაობს 24 საათის განმავლობაში. 140-150 ოპერატორს კიდევ დავამატებთ უახლოეს ერთ კვირაში, მაქსიმუმ 10 დღეში, რა თქმა უნდა, ხაზზე დატვირთვა შემცირდება და უფრო მეტი ოპერატორი მოემსახურება ჩვენს მოქალაქეებს.

როგორც უკვე აღვნიშნე, „112“-ის სამუშაო რეჟიმი და ოპერატორთა ოდენობა თითქმის გავასამმაგეთ, ვაპირებთ აპარატურის შესყიდვასაც, იმიტომ, რომ რაც გვქონდა ჩვენ საშუალება, იტვირთება და გადავწყვიტეთ „112“-ის სერვერები გავაძლიეროთ, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

„112“-ს, კორონავირუსის მართვის პროცესში, მნიშვნელოვანი ფუნქცია დაემატა. თითოეულ მოქალაქეს კორონავირუსისთვის დამახასიათებელი სიმპტომებისა და ვირუსის დადასტურების შემთხვევაში, შეუძლია დარეკოს „112“-ზე. ვირუსთან დაკავშირებული შეტყობინებები კი, ჯანდაცვის პროტოკოლის მიხედვით, ოპერატორების მიერ კლასიფიცირდება და მწვავე შემთხვევები – სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრს, ხოლო ნაკლებად მწვავე გამოძახებები – ოჯახის ექიმებს გადაეცემა.

– დღეს დავიწყეთ კიდევ ერთი დამატებითი ღონისძიება, რომელიც არ დაიწყება მხოლოდ „112“-ის მონახულებით, ჩვენ გავაგრძელებთ ასევე კომუნიკაციას როგორც სასტუმროში და თქვენ იცით, რომ ყოველდღიურ რეჟიმში გვაქვს ჩვენ საავადმყოფოების წარმომადგენლებთან და კლინიკის ხელმძღვანელებთან შეხვედრები. ეს შეხვედრები გაგრძელდება იმისათვის, რომ ის არსებული ხარვეზები, რომლითაც სასწრაფოს ექიმებს ექმნებათ შეფერხება, რომ პაციენტების დროული ჰოსპიტალიზაცია მოახდინონ, აუცილებლად იქნას აღმოფხვრილი, – განაცხადა ეკატერინე ტიკარაძემ.

ინფიცირების რაოდენობისა და მოქალაქეთა ტესტირებების ზრდასთან ერთად, „112“-ის დატვირთვა გაიზარდა. მიმართვიანობის გაზრდის პარალელურად და ზარებზე მოლოდინის დროის შესამცირებლად „112“-მა ოპერატორების რაოდენობა გაზარდა, სარეზერვო ცვლები სრულ სამუშაო გრაფიკზე გადაიყვანა და ოპერატორის პოზიციაზე ახალი კადრები დაამატა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ოცნებამ“ და ოპოზიციამ ქვეყანა გადააყოლეს თავიანთ საქმის გარჩევებს“

თორნიკე შარაშენიძე: „თუ გაზაფხულისთვის მოგვისწრებს ვაქცინა და ზაფხულში ეკონომიკა ამუშავდება, არის შანსი, რომ გამოძვრეს „ოცნება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

– ბატონო თორნიკე, ოპოზიციაში ბოლო დღეებია აზრი კიდევ უფრო მეტად გაიყო. პლებისციტის თემამ კიდევ უფრო მეტი აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. რატომ ვერ ჩამოყალიბდა ოპოზიცია საბოლოოდ თუ რა უნდა, ასე რატომ აიჭრა სიტუაცია? იმაზეც საუბრობენ, რომ ეს იდეა პარლამენტში შესვლის მსურველებს ეკუთვნით და პირველად ამაზე საუბარი უსუფაშვილმა დაიწყოო.

– ოპოზიცია თავიდანვე ვაბანკზე წავიდა და ეს გვიან გაიაზრეს. ვაბანკზე თამაში არ აღმოჩნდა ასე იოლი. იმედი მაქვს, კომპრომისს მოძებნიან. მართალი გითხრათ, დამღალა ამ ყველაფერმა. ყველაზე ცუდი ჩემთვის არის ის, რომ ამდენი რამე იცვლება გარშემო, აგერ რუსეთი ლაპარაკობს აფხაზეთთან სამოკავშირო ხელშეკრულებაზე, ყარაბაღში ომი დასრულდა, გარშემო ამდენი რაღაც შეიცვალა და ჩვენი სახელმწიფო არის სრულიად პარალიზებული, იმიტომ, რომ ოპოზიცია და ხელისუფლება ერთმანეთს ჭამენ და ვერაფერს ვერ ვაკეთებთ. ეს არის ჩემთვის უფრო მეტად სამწუხარო, ვიდრე ეს დაუმთავრებელი კინკლაობა, რომელსაც, მართალი გითხრათ, მაინცდამაინც სერიოზულად არ ვუყურებ და არ განვიცდი.

– სერიოზულად არ ვუყურებო, მაგრამ მათი ასეთი დამოკიდებულება სახელმწიფო ინტერესებს აზიანებს.

– თავისთავად ცხადია, აზიანებს. ხომ არ შეიძლება მთელი ქვეყანა გადააყოლონ თავიანთ საქმის გარჩევებს „ოცნებამ“ და ოპოზიციამ კიდევ შიგნით. ხომ ვიცით, რომ დღეს ისინი ერთიანი არ არიან და რა ხდება მათ რიგებში. ხომ არ შეიძლება ქვეყანა იძინებდეს და იღვიძებდეს იმის ძახილში, შევა თუ არ შევა?! ვინ შევა, ვინ არ შევა?! ეს სასაცილოა უკვე. ჩვენ გარშემო სიტუაცია მთლიანად იცვლება და ჩვენთვის უკეთესობისკენ ნამდვილად არა, ამიტომ საჭიროა, რომ ქვეყანა მობილიზდეს, შეთანხმდეს რაღაც პოლიტიკაზე, ჩვენ კი დროს უაზროდ ვკარგავთ. მაგალითად, ახლა თუ შედგა ეს რუსეთ-აფხაზეთის კავშირი, მერე ჩვენ გვკითხავენ მომავალი თაობები, თქვენ სად იყავით?! იქ ვიყავით, რომ ყოველდღე ტელევიზიით ვუყურებდით იმას, შევა თუ არ შევა ოპოზიცია! ეს ყველაფერი უკვე ძალიან სამარცხვინოა! როგორც ჩანს, ეს ყველას ნაკლებად აინტერესებს, მთელ პოლიტიკურ სპექტრს ვგულისხმობ!

– საუბრობთ რუსეთ-აფხაზეთის ხელშეკრულებაზე, რას ცვლის ეს ყველაფერი ჩვენთვის? კიდევ უფრო მეტად გვირთულებს სიტუაციას?

– რაც უფრო შორს წავა ეს სიტუაცია, უფრო ძნელი იქნება ამის მოტრიალება. რატომღაც არავის არ უნდა გაიაზროს, რა ხდება და რა უნდა ვქნათ. ყველანი მიყვებიან ამ დაწერილ რეცეპტებს. ეს რეცეპტი, ვხედავთ, რომ არ მუშაობს კარგად. რაღაც უნდა შეიცვალოს, მაგრამ არ უნდათ ამის შეცვლა.

– ბევრს უკვე ეჭვი უჩნდება, რომ მიზანმიმართულად ხომ არ ხდება ეს ყველაფერი, გაუთავებელი კინკლაობა. ეს ხომ არ არის მნიშვნელოვანის ხელოვნურად გადაფარვის მცდელობა?

– სპეციალურად არა, სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ქართულ პოლიტიკურ სპექტრს ეს უფრო ადარდებს, ვიდრე ის, გრძელვადიანი ჩვენთვის მართლაც მნიშვნელოვანი საკითხები. ეს ნამდვილად ასეა. ამ დღეებში გაგიგონიათ რომელიმე პოლიტიკოსისგან, ვინც ყოველდღე ტელეეთერებიდან გველაპარაკება, რომ აფხაზეთს რა ეშველება და რა ვქნათ?! არა! მთავარი თემაა – შევალთ, არ შევალთ! შემოვიდნენ – არ შემოვიდნენ, აი, სულ ესაა, მეტი არაფერი.

– რატომ გამოიწვია ამხელა წინააღმდეგობა პლებისციტის საკითხმა. ეს ხომ მათსავე წიაღში დაიბადა?

– არ ვიცი, რა ხდება ოპოზიციის შიგნით და სიმართლე გითხრათ, იმდენად დავიღალე ამ წვრილმანი გარჩევების ყურებით, რომ მე პირადად დავკარგე ინტერესი და არანაირად არ ვაპირებ, რომ ამაზე ვინერვიულო.

– კვირის ბოლოს ასევე დაიშალა ოპოზიციური პარტია გირჩი. ამაზე რას იტყვით?

– ვერაფრით ვერ გამირკვევია, რატომ არის ამხელა ყურადღება ამ პარტიის მიმართ?!

– სხვა ოპოზიციურ პარტიებსაც იგივე ხომ არ ელის?

– არა მგონია. ეს პარტია, გირჩს ვგულისხმობ, ყოველთვის ეგზოტიკური იყო. ყოველი მისი წევრი გამოირჩეოდა ეგზოტიკური და არაადეკვატური გამონათქვამებით, სხვა პარტიებს ამას ვერ დავაბრალებთ, იქ ნაკლებად აკეთებენ ასეთ არაადეკვატურ გამოხტომებს და ნაკლებად ცდილობენ მიიპყრონ საზოგადოების ყურადღება. სხვებს, მათგან განსხვავებით, დისციპლინა მეტი აქვთ. აქ ყველაფერი ერთად იყო, არაადეკვატურობა, დისციპლინის დეფიციტი და რა გითხრათ. ცოტა კრეატიულობით გამოირჩეოდა, მაგრამ ამ კრეატიულობას ხომ უნდა დაურთო ცოტა ადეკვატურობაც.

– დიდი დრო აღარ არის, უნდა შეიკრიბოს პარლამენტი. უამრავი საკითხია განსახილველი. ვინ შევა პარლამენტში? ნაციონალებმა განაცხადეს, რომ მათ მიიღეს პრინციპული გადაწყვეტილება, რომ არ შედიან. რამდენად საბოლოოა ეს გადაწყვეტილება?

– ნაციონალები მეტად დისციპლინური პარტიაა და ალბათ საბოლოოა. მათი დიდი ნაწილი ალბათ არ შევა. მათ პარტიული დისციპლინა აქვთ. თუნდაც იმიტომ, რომ ძირითადად ერთ კაცზე არიან ყველანი გასწორებული.

– ევროპულ საქართველოზე რას იტყვით?

– იქაც ძალიან მაღალ დონეზეა პარტიული დისციპლინა. ალბათ ეს ორი პარტია არ შევა, თუ არ იქნება რაიმე სერიოზული დათმობა ხელისუფლების მხრიდან. სერიოზულ დათმობებს კი, მართალი გითხრათ, გამოვრიცხავ. პატარ-პატარა პარტიების ნაწილი ალბათ შევა. პატარა პარტიებს განსაკუთრებით სჭირდებათ ახლა პარლამენტი თავის გადასარჩენად. ნაცმოძრაობას უფრო ნაკლებად აქვს ეს პრობლემა. თუმცა არ შესვლა მათაც დაააზიანებს, მით უმეტეს, თუ არ მოხდა ის, რასაც ისინი ელოდებიან.

– რას ელოდებიან?

– იმას, რომ ეს ხელისუფლება ჩამოიშლება. ასე თუ ისე, ნაცმოძრაობა შეძლებს გადარჩენას, ძლიერი ლიდერი ჰყავთ და ფულიც აქვთ. ასევე ამომრჩეველი ყავს სხვაზე მეტი.

– ადგილობრივი არჩევნები მოდის ერთ წელიწადში. ეს რამდენად უშველის ოპოზიციას? განსაკუთრებით, გარეთ დარჩენილს?

– გარეთ დარჩენილ პატარ-პატარა პარტიებს, მე მგონი, ვერ უშველის. ამიტომაც არის მნიშვნელოვანი მათთვის პარლამენტში შესვლა.

– ვარდების რევოლუციაც სწორედ ადგილობრივი არჩევნების შემდეგ დაიწყო, როდესაც სააკაშვილმა თბილისი მოიგო. ახლა რა შანსები აქვს ოპოზიციას?

– დიახ, სააკაშვილმა მაშინ მოიგო თბილისი. დღეს ასე მარტივი თბილისის მოგება არ იქნება. თუ ერთიანი ფრონტი შეიქმნა, თუ ერთად დადგა ოპოზიცია, მაშინ თბილისის მოგების შანსი აქვთ. თუ არ გაერთიანდნენ, კვლავაც იგივე მოხდება, რაც ახლა მოხდა. მით უმეტეს, გავითვალისწინოთ, რომ ადგილობრივ არჩევნებზე ოპოზიციური ამომრჩეველი ისე არ მობილიზდება, როგორც საპარლამენტოზე. ადგილობრივზე მობილიზდება სახელისუფლო რესურსი, ანუ მათი მხარდამჭერები.

– ანუ ამ გადმოსახედიდანაც „ოცნება“ იგებს?

– ამ რეალობით კი ასეა. ადგილობრივ არჩევნებზე არ არის ისეთი აქტიურობა, არ მიდის ამომრჩეველი არჩევნებზე, ის ვინც შეიძლება ხმა მისცეს ოპოზიციას, აი ამაშია საქმე. პატარა პარტიები, ვინც პარლამენტში შევა, ასე თუ ისე, დარჩებიან თამაშში. ჩვენ ისევ და ისევ მივუბრუნდეთ იმას, თუ რა გათვლას აკეთებს ოპოზიციის ერთი ნაწილი, ოპოზიციის მთავარი ფრთა, ვგულისხმობ ნაცმოძრაობას და ევროპულ საქართველოს. მათი გათვლა არის ის, რომ „ოცნებას“ ჩამოეშლება ქვეყანა და მათ ყველა ვარიანტში მოუწევთ კრიზისიდან გამოსვლისთვის არჩევნების დანიშვნა. აი ამაზე კეთდება გათვლა. თუ ამან გაამართლა, ხომ კარგი ოპოზიციისთვის.

– და ეს რომ არ მოხდეს?

– ეს რომ არ მოხდეს, ისინი ძალიან სერიოზულად წააგებენ, რა თქმა უნდა. ვაბანკზე მიდიან. ვაბანკზე წასვლის შანსი აქვთ ძლიერ პარტიებს, „ოცნებას“, რომელსაც ზურგს უმაგრებს ადმინისტრაციული რესურსი და ასევე ნაცმოძრაობასაც. ხოლო პატარა პარტიები ძალიან რისკავენ. ამ ეტაპზე ვაბანკზე წამსვლელი პარტიები თამაშობენ მიშას თამაშს. უნდათ თუ არ უნდათ, ასე გამოდის.

– არის დღეს ის სიტუაცია, რომ „ოცნება“ ასე მარტივად ჩამოიშალოს?

– შევხედოთ, როგორ გაუძლებენ ამ კრიზისს. როგორ გადაიტანს ამ ყველაფერს ქვეყანა. თუ გაზაფხულისთვის მოგვისწრებს ვაქცინა და ზაფხულში ეკონომიკა ამუშავდება, არის შანსი, რომ გამოძვრეს „ოცნება“ და მერე ქვეყანაც გამოძვრება. არ ვიცი, რა გათვლები აქვს ოპოზიციას, შეიძლება რაღაც ისეთი იციან, რაც ჩვენ არ ვიცით.

რუსეთი ოკუპირებულ აფხაზეთს გაურკვეველ კავშირში ითრევს

ასლან ბჟანია: „რუსეთის გარეშე არც ეკონომიკა გვექნება და არც სინათლე“

მარიამ მჭედლიშვილი

თანდათან ხდება იმ თემების გახმაურება, რომლებზეც რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა პუტინმა და ოკუპირებული აფხაზეთის ფაქტობრივმა პრეზიდენტმა ბჟანიამ 12 ნოემბერს სოჭში საჩქაროდ ორგანიზებულ შეხვედრაზე ისაუბრეს.

შეხვედრა დაემთხვა ანონსს საქართველოში სახელმწიფო მდივან პომპეოს ვიზიტის თაობაზე.

მას შემდეგ გამოცხადდა რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთის ერთიანი სოციალური და ეკონომიკური სივრცის შესახებ პროგრამის რეალიზაციის დაწყება. ამან გამოიწვია საპროტესტო გამოხმაურება როგორც ოფიციალური თბილისის, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დასავლეთის სახელმწიფოების მხრიდან. ითქვა, რომ მსგავსი შეთანხმებები და პროგრამები ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს და ისინი უკანონოა.

ახლა გაირკვა, რომ პუტინთან საუბრისას დღის წესრიგში დამდგარა სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნის საკითხი.

ამაზე ასლან ბჟანიამ საზოგადოებრივი პალატის წევრებთან შეხვედრისას აღნიშნა.

ჯერჯერობით, არ ზუსტდება, როგორ კავშირსა თუ სამოკავშირეო სახელმწიფოში ითრევენ საქართველოს ამ რეგიონს. ცნობილია ის, რომ კრემლს სურს ახალი კავშირი პოსტსაბჭოთა ტერიტორიაზე მსოფლიოში მიმდინარე ძვრების ფონზე.

– ვლადიმირ ვლადიმირის ძე ამბობს, რომ სჭირდებათ განსაკუთრებული ურთიერთობები ბელარუსთან, ასევე აფხაზებთან, მათთან, ვინც მათ (რუსეთს) ახლობლად თვლის. განვითარდება გლობალური პროცესები და სახელმწიფოთა ჯგუფი პოსტსაბჭოთა სივრცეში ჩამოაყალიბებს ერთგვარ კავშირს. ჩვენ, თუ მოსახლეობა ამის წინააღმდეგ არ წავა, ამაზე ვიფიქრებთ. როგორც ჩანს, ყველაფერი აქეთ მიდის და მე ამაში რისკებს ვერ ვხედავ, – აცხადებს დე ფაქტო პრეზიდენტი.

ელექტრომომარაგების გრაფიკის პირობებში მცხოვრები მთელი აფხაზეთი დენზე საუბრობს. რესპუბლიკაში ენგურჰესის გაჩერებისთვისაც ემზადებიან. ენგურჰესს სარემონტოდ თებერვალში გააჩერებენ. აფხაზები რუსული დენის მისაღებად ემზადებიან და აცხადებენ, რომ ის უფასო არ იქნება. აფხაზეთის მთელი ენერგოსისტემა უმძიმეს მდგომარეობაშია.

ამ მტკივნეულ თემას ასლან ბჟანიაც შეეხო. მან მიანიშნა, რომ რუსეთის დახმარების სანაცვლოდ აფხაზეთმაც რაღაც უნდა დათმოს.

– ენერგეტიკული სისტემა გაცვდა. მის რეანიმაციას 10 მილიარდი რუბლი სჭირდება. რუსეთის გარდა, ვერავინ დაგვეხმარება. რუსი ინვესტორების გარეშე არც ეკონომიკა გვექნება და არც სინათლე. უნდა ავირჩიოთ – ან დენი, ან უდენობა. სიმართლეს თვალებში უნდა შევხედოთ, – აღნიშნა მან.

ეტყობა, მისი მინიშნება უძრავი ქონების დაკანონებასაც ეხება. დღემდე აფხაზეთში აფხაზეთის არამოქალაქე კერძო პირებს ეკრძალებათ უძრავი ქონების შეძენა. იურიდიულ პირებს ამის უფლება აქვთ. ამის გამო აფხაზებმა რუსეთიდან ბევრჯერ მიიღეს შენიშვნა. ასლან ბჟანიას თქმით, ერთიანი ეკონომიკური სივრცის პროგრამის პირველ რედაქციაში ამ საკითხზე პუნქტი არსებობდა, რომელიც შემდეგ ამოიღეს.

– საკითხი ახალი რედაქციიდან ამოიღეს, მაგრამ ის დღის წესრიგიდან არ გამქრალა. ჩვენთან 2 500 ოჯახი დგას ბინის მიღების რიგში. ამას 6 მილიარდი რუბლი სჭირდება, რაც არ გაგვაჩნია. უძრავი ქონების გაყიდვის საკითხში პრაგმატული მიდგომაა აუცილებელი, – განმარტა ბჟანიამ.

საოკუპაციო ხელისუფლების მეთაური რუსეთის შეუცვლელ როლს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროშიც ხედავს:

– იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოსთან არ გვაქვს გაფორმებული სამშვიდობო ხელშეკრულება, საქართველო კი აფხაზეთს თავის ტერიტორიად მიიჩნევს და ამაში მასთან სოლიდარული არიან სხვა სახელმწიფოები, პირველ პლანზე დგება სამხედრო უსაფრთხოების საკითხები. წინ იწევს რუსეთთან კავშირის გამტკიცება და ერთიანი უსაფრთხოების სივრცის ჩამოყალიბება. მშვიდობისათვის საფასურის გადახდა მოგვიწევს. შეიარაღებული კაცის შენახვა იაფი ღონისძიება არ არის, – ამბობს ბჟანია.

ასეთ მიდგომას აფხაზეთში ყველა არ ეთანხმება. ჯერჯერობით, ოპონენტები დუმან. მომხრეები კი ამბობენ, რომ ბჟანია სიფხიზლეს იჩენს და სწორად იქცევა.

რუსეთთან გარკვეულ კავშირზე აფხაზეთში ადრეც უმსჯელიათ. მაგალითად, არსებობს მოსაზრება, რომ აფხაზეთი უნდა შევიდეს რუსეთ-ბელარუსის კავშირში. ყველაზე პოპულარული აფხაზეთში დამოუკიდებლობის იდეაა. თუმცა, იქ დიდი ხანია მიხვდნენ, რომ რუსეთის, ვენესუელის და სირიის მიერ აღიარებული აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფო ვერ გახდა, ვერ განვითარდა და რუსეთი მის სრულ ანექსიას ცდილობს.

„ივანიშვილმა კობახიძე გადამალა და თალაკვაძეს ალაპარაკებს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

– არაფერი. ეს პარტია ეპატაჟზე ორიენტირებული პარტიაა, ჩხუბიც კი ეპატაჟური აქვს, რაღაცნაირად უცნაური. არ ვიცი, რა გითხრათ. საერთოდ მათ უყვართ ექსტრავაგანტული, ინტიმური თემების გასაჯაროება. გვახსოვს ატოცში მათი ექსტრავაგანტული საქციელი ინტიმური ადგილის ჩვენებით და ახლა პოლიტიკურად ინტიმურ თემებზე გვესაუბრებიან საზოგადოებას. არა მგონია, რომ ეს ჩვენ გვაინტერესებდეს. სრული აბსურდია, როდესაც პარტიის ლიდერები აპროტესტებენ პარტიულ დისციპლინას. რანაირად შეიძლება ამაზე სერიოზულად ვილაპარაკოთ?! თვლიან, რომ ეს ზღუდავს მათ თავისუფლებას. შე კაი ადამიანო, თუ პარტიულ დისციპლინას არ აღიარებ და პარტიაში მიღებული გადაწყვეტილებების ჩარჩოებში მოქცევა არ გინდა, მაშინ პოლიტიკაში რა გინდა?! თუ აბსოლუტური თავისუფლება გინდა, მაშინ პარტიას გაანებე თავი და იყავი თავისუფლად.

მე, როგორც გავიგე, ზურა ჯაფარიძეს მისი პოლიტიკური პარტნიორები იმას უწუნებენ, რომ რაღაცა ელემენტარული პარტიული დისციპლინა იყოს და „პლანი“ არ მოწიონ ოფისში. ამაზე სერიოზულად რა კომენტარი უნდა გავაკეთო?!

– საერთო ოპოზიციურ ერთობას ხომ არ ადგება ჩრდილი თუნდაც ამ გადაწყვეტილებით, თუნდაც ის, რომ ელჩებთან შეხვედრაზე, მაგალითად, ნათელა შვილი არ მივიდა?

– რაღაც სიმპტომები იქნება. გითხარით, რომ ხელისუფლება გამოიყენებს ყველა მეთოდს. ყიდვიდან დაწყებული და სხვა მეთოდებით გაგრძელებული. რა თქმა უნდა, ხელისუფლება გააკეთებს ამას და ეცდება, რომ ერთიანობა დაარღვიოს. ოპოზიციას სხვა აქტივი არ აქვს. მისი ერთადერთი აქტივი ერთიანობაა, მეტი არაფერი არ უჭირავს ხელში. ხელისუფლება ცდილობს, რომ ეს ყველაფერი დაშალოს და ვიღაცა შეიყვანოს, ვიღაცა გარეთ დარჩეს. შემდეგ კი, ვინც შიგნით იქნება, მათ შიგნით მოგუდავს, ხოლო ვინც გარეთ იქნება, მათ გარეთ მოგუდავს.

იმედი მაქვს, რომ ოპოზიციას ესმის, რომ მისი ერთადერთი აქტივი ერთიანობაა, თუმცა მე ვერაფერს ვერ გამოვრიცხავ.

„ხელისუფლების ადგილზე რიგგარეშე არჩევნებს დავთანხმდებოდი“

ვახტანგ ხმალაძე: „პლებისციტი არ უნდა გაიმართოს“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ვახტანგ, ოპოზიციის ერთ-ერთი შეთავაზება ხელისუფლებისადმი პლებისციტს უკავშირდება. თუმცა, არჩილ თალაკვაძემ ვადამდელი არჩევნების საკითხი გამორიცხა. რა შემთხვევაში ინიშნება პლებისციტი?

– პლებისციტი, ოფიციალურად ხალხის აზრის გამოკითხვაა. ცენტრალური საარჩევნო კომისია ახდენს მის ორგანიზებას და ის ადგენს შედეგს. სასურველია დაისვას ერთი მკაფიო კითხვა, რომელზეც იქნება პასუხი: დიახ ან არა.

– ცესკო ატარებს პლებისციტს?

– დიახ.

პლებისციტის შედეგები არ არის სავალდებულო. ის არ იწვევს სამართლებრივ შედეგს განსხვავებით რეფერენდუმისგან. რეფერენდუმის გადაწყვეტილება სავალდებულოა შესასრულებლად.

თუმცა, ხელისუფლება, რომელიც არ გაიზიარებს ხალხის, ამომრჩეველთა უმრავლესობის აზრს, ის პოლიტიკურ ზიანს იღებს ხოლმე. ეცემა რეიტინგი, შეიძლება შემდეგ არჩევნებზე ბევრად ნაკლები მხარდაჭერა მიიღოს, ეს ყველაზე რბილი შედეგია. არ არის გამორიცხული, რომ პლებისციტი ისეთ განსაკუთრებულ, მწვავე საკითხზე იყოს, რომ ხელისუფლების მხრიდან საზოგადოების უმრავლესობის აზრის უარყოფამ, შეიძლება უფრო მძიმე შედეგი გამოიწვიოს. პოლიტიკური აქციები, პროტესტები, საბოლოო ჯამში, ყველაზე მძიმე შედეგიც კი შეიძლება დადგეს – ხელისუფლების რევოლუციური გზით ცვლილება.

– რეფერენდუმის გზით რატომ არ წავიდა ოპოზიცია? თუ რეფერენდუმი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე უნდა ჩატარდეს?

– გასაგებია, რეფერენდუმი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე იმართება, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს არ იყო მიზეზი. ჩვენი ტერიტორიები ოკუპირებულია მტრის მიერ, მაგრამ მე ვთვლი, რომ ამან სახელმწიფო არ უნდა შეზღუდოს დემოკრატიის იმ ფორმის გამოყენებაში, რასაც რეფერენდუმი ჰქვია.

– ოპოზიცია, უპრიანი იყო, ამ გზით რომ წასულიყო?

– რაციონალურად თუ მივუდგებით პრობლემის გადაჭრას, არა თუ რეფერენდუმი, არც პლებისციტი არ უნდა გაიმართოს. არსებული კრიზისიდან გამოსავალი რიგგარეშე არჩევნების გამართვაშია. თუმცა, ერთი აუცილებელი ელემენტია: არჩევნები უნდა ჩატარდეს ისე, რომ მისი შედეგი იყოს სანდო ყველასთვის. არსებული წესით არჩევნების ჩატარება, მათ შორის პლებისციტის ჩატარებაც, სანდოობას არ იწვევს. თუნდაც კანონის სრული დაცვით ჩაატარონ საარჩევნო კომისიებმა არჩევნები, მაინც იქნება უნდობლობა. წარმოიდგინეთ, კომისიების ორი მესამედი ერთი პარტიის „ქართული ოცნების“ ხელშია. ეს არის ფაქტობრივი მდგომარეობა, რომელიც უნდა შეიცვალოს.

– თქვენ საარჩევნო კოდექსის ცვლილებაზე საუბრობთ.

– დიახ. სამი ათეული წელია ვაკვირდებით ხმების დათვლის დროს სერიოზულ დარღვევებს. ეს რომ არ მოხდეს, ამიტომ საჭიროა ხმების დათვლის ელექტრონული სისტემის შემოღება. მანქანამ დათვალოს ხმები.

– არჩევნების ელექტრონული სისტემით ჩატარებას გულისხმობთ თუ მხოლოდ ხმების დათვლას?

– ერთი, აუცილებელია ამომრჩევლის ხმების დათვლა ელექტრონული სისტემის გამოყენებით და მეორე, ამომრჩევლის ელექტრონული იდენტიფიცირება, რათა გამოირიცხოს ყველანაირი სახის კარუსელი.

რაც შეეხება მთლიანად ელექტრონულად არჩევნების ჩატარებას, რაზეც ახლა არის საუბარი, ეს გულისხმობს ამომრჩევლის მიერ არა საარჩევნო უბანზე მისვლას, არამედ ინტერნეტის გამოყენებით ხმის მიცემას დისტანციურად და ა.შ. თუმცა, აქ სხვა საფრთხეები დევს. მე, როგორც მოგახსენეთ, მხოლოდ ამ ორი რამით შემოვიფარგლებოდი. ხმების ელექტრონული დათვლა უკვე იყო შუალედურ არჩევნებზე ტესტირებული და მან შესანიშნავი შედეგი აჩვენა. სავსებით შესაძლებელია ამის გაკეთება დაახლოებით 5-6 თვეში.

ამდენად, არჩევნებიც თუ პლებისციტიც ამ ვადაში უნდა გაიმართოს ხმების ახალი დათვლის წესის შემოღების შემდეგ. ახლა თუ გაიმართება პლებისციტი, შეიძლება უნდობლობა კვლავ იყოს შედეგების მიმართ, როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან და ისევ იქნება პოლიტიკური კრიზისი. ამიტომ, კრიზისის თავიდან ასაცილებლად, მე ხელისუფლებაში რომ ვიყო, დავნიშნავდი რიგგარეშე არჩევნებს, მანამდე კი საარჩევნო კოდექსში შევიტანდი ამ ცვლილებებს. თუ ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ სამართლიანად გაიმარჯვა, რიგგარეშე არჩევნებზეც გაიმარჯვებს, ისე რომ, მის გამარჯვებაში უკვე ვერავინ ვერ შეიტანს ეჭვს. ამიტომ, მე, ხელისუფლების ადგილზე, რიგგარეშე არჩევნებს დავთანხმდებოდი.

– თუ ერთმანეთისკენ ნაბიჯს არ გადადგამენ და, პირიქით, უფრო გაღრმავდება კრიზისის, როგორ შეიძლება პროცესები განვითარდეს?

– ყველანაირად. სხვადასხვანაირი სცენარი შეიძლება იყოს. შეიძლება კრიზისმა რბილი ფორმით გადაიაროს და შეიძლება კრიზისმა გამოიწვიოს სიკვდილი. გააჩნია, როგორი იქნება ქვეყნის მდგომარეობა. რა მდგომარეობა იქნება ქვეყანაში, რამდენად გაუარესდება ეკონომიკური მდგომარეობა, სოციალური მდგომარეობა. რამდენად სწორად იმოქმედებენ ამ პერიოდში ერთი მხრივ ხელისუფლება და მეორე მხრივ, ოპოზიცია. ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, როგორ განვითარდება მოვლენები. შედეგი შეიძლება იყოს ძალიან რბილიც და შეიძლება ძალიან მძიმეც იყოს.

„ხალხი პლებისციტის წინააღმდეგია“

პეტრე მამრაძე: „ოცნებამ“ აღარ უნდა დაუშვას ისეთი პოლიტიკური იდიოტობა, რა შეცდომაც ერთხელ უკვე დააშვებინეს ივანიშვილს“

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი პეტრე მამრაძე პასუხობს.

გულიკო ბალაძე

– ბატონო პეტრე, ოპოზიციონერების კომენტარებში ითქვა, რომ რიგგარეშე თუ განმეორებითი არჩევნების ჩატარების თაობაზე შეიძლება პლებისციტის ჩატარება მოითხოვონ. არჩევნების შემდეგ ვითარების შეფასებისას თქვენ მითხარით, რომ მთავარია „ოცნებას“ ნერვებმა არ უღალატოს.

– დიახ, სიმტკიცე გამოიჩინოს.

– იქნება თუ არა პლებისციტზე დათანხმება ნერვების ღალატი?

– ამის თქმა მიჭირს, რადგან პრესაში უკვე გამოქვეყნდა გამოკითხვის შედეგები და „ოცნებამ“ თავისი სტრუქტურების მეშვეობით უნდა იცოდეს, რომ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა რიგგარეშე არჩევნების წინააღმდეგია. საარჩევნო პროცესში ყოფნა ხალხს ყელში ამოუვიდა.

– ქვეყანა რთულ მდგომარეობაშია და მუდმივად საარჩევნო პროცესში ყოფნა ადვილი არ არის.

– ისედაც... ვაკვირდები ვითარებას, ხალხთანაც კონტაქტი მაქვს და ვიცი (ადამიანებს ვეკითხები, რომლებიც მეუბნებიან თავის აზრს), ოპოზიციონერები მანქანებით და დროშებით რომ დარბიან, ადამიანებში სიმპათიას არ იწვევენ.

– რატომ?

– იმედი და ნდობა არ არის იმისა, ესენი ხელისუფლებაში თუ მოვლენ, ხალხს რამენაირად მოხედავენ. დომინირებს აზრი, რომ ეს ხალხი იმიტომ დარბის, საკუთარი ცხოვრება მოიწყონ, ფული იშოვონ. მასაში ნამდვილად არ არის აზრი და განწყობა იმისა, ჩატარდეს რიგგარეშე არჩევნები და ნორმალური პარლამენტი მივიღოთო.

2-3 კვირის წინ, როდესაც ჯერ ლაპარაკი არ იყო პლებისციტზე, 70-75% წინააღმდეგი იყო მორიგი არჩევნებისა. ადამიანებს არ ესმით, არჩევნები კიდევ რატომ უნდა უნდოდეთ. ბევრი ფული იხარჯება. იციან, რომ მორიგ არჩევნებს აჟიოტაჟი მოჰყვება. ამიტომ არავითარი ენთუზიაზმი არ არის.

ამ პირობებში „ოცნება“ შეიძლება დათანხმდეს სრულიად ცივსისხლიანად, რადგან იციან, რომ პლებისციტის შედეგი იქნება უარყოფითი. ამით „ოცნება“ მხოლოდ დაადასტურებს თავის ნებას, რომ არ უნდა არავითარი რიგგარეშე თუ განმეორებითი არჩევნები.

ახლა სააკაშვილმა 36 ადამიანი გაიყვანა. ეს 8-მანდატით მეტია, ვიდრე 4 წლის წინ ჰყავდა და ერთნახევარჯერ მეტია, ვიდრე ერთად აღებულმა ყველა დანარჩენმა ოპოზიციურმა პარტიამ მიიღო. ფანტასტიკური შედეგია, რადგან მისი ერთგული 13%-ია, პირველი ნომერი ბუბა კიკაბიძე იქნება (და რუსულად იმღერებს), სოფო ნიჟარაძე თუ სხვა ვინმე. სააკაშვილის ამომრჩეველს ეს სულ არ აინტერესებს.

იმ შემთხვევაში, თუ კარგადაა გაზომილი და არის გარანტია, რომ ხალხს არ უნდა განმეორებითი არჩევნები, მაშინ ეს ძლიერი პოლიტიკური სვლაც კი იქნება – იტყვის, გინდათ განმეორებითი არჩევნები და ჩვენი არ გჯერათ, ჩატარდეს პლებისციტი. პლებისციტზე რომ გამოჩნდება, ხალხის 75% რიგგარეშე არჩევნების წინააღმდეგია, მაშინ სად მიდიან? ეს ლოგიკურია. მე უფრო იმ პოზიციაზე ვარ, რომ ახლა ხალხი რიგგარეშე არჩევნებს ხმას არ უნდა აძლევდეს. რა იქნება გაზაფხულზე, არ ვიცი.

– მაინც რატომ არ შედიან პარლამენტში?

– იმიტომ, რომ მიშამ იცის, თუ პარლამენტში შევა 36 დეპუტატით, გაექცევიან, როგორც გაექცა 2016 წელს. ნაცებს ფრაქციისთვის 6 კაცი დაუტოვეს, დანარჩენები კი გაიქცნენ და ცალკე დაჯგუფება შექმნეს. ახლა სააკაშვილი 36 დეპუტატით რომ შევიდეს პარლამენტში, ყველაფერი განმეორდება.

– რატომ გარბიან, ან თავიდან რატომ მიდიან ნაცმოძრაობაში, თუ ნაცმოძრაობასთან ყოფნა არ უნდათ?

– ნაცმოძრაობაში იმიტომ მიდიან, რომ იციან, სააკაშვილი შეასრულებს ლოკომოტივის როლს და პარლამენტში მოხვდებიან. პარლამენტში რომ მოხვდებიან, მანდატი უკვე სავაჭრო საგანია. ამ მანდატის მეშვეობით უკვე სტატუსი აქვთ, დაწყებული იმუნიტეტიდან, დამთავრებული როგორც ბიზნესის კეთებით, ისე გავლენებით.

– რა გავლენებით?

– პარლამენტში ყოფნით მათ მეტი საშუალება აქვთ, როგორც ფულის შოვნისა და ბიზნესის კეთების, ისე გავლენის მოხდენის. პარლამენტის წევრს შეუძლია ნებისმიერ მინისტრს დაურეკოს, სთხოვოს, რაც უნდა, შეუძლია თანამდებობის პირს სთხოვოს, ჩემი ბიძაშვილი თანამდებობაზე მომიწყვეო. ამდენად, პარლამენტის წევრს გავლენა აქვს.

– ოპოზიციონერ პარლამენტის წევრებსაც უწევენ ანგარიშს ისე, რომ შეიძლება ბიძაშვილი სამსახურში მოუწყონ?

– რა თქმა უნდა. პარლამენტში არის კომიტეტები. სამინისტროები კი კომიტეტებზეა დამოკიდებული. იბარებენ მინისტრებს და აკრიტიკებენ. პარლამენტის წევრი პრესკონფერენციას მოაწყობს და გააკრიტიკებს. ამიტომ ამას ანგარიშს უწევენ. ასე იყო, როცა მე ორი ვადით ვიყავი პარლამენტში.

– ალბათ, ერთ კვირაში მე-10 მოწვევის პირველი სესია გაიმართება. „ოცნება“ რას სთავაზობს ოპოზიციას, საზოგადოებამ არ იცის. ვიცით მხოლოდ ის, რომ განმეორებით არჩევნებზე არ თანხმდება. რა უნდა შესთავაზოს „ოცნებამ“ ოპოზიციას?

– არაფერი არ უნდა შესთავაზოს. „ოცნებამ“ აღარ უნდა დაუშვას ისეთი პოლიტიკური იდიოტობა, რა შეცდომაც ერთხელ უკვე დაუშვებინეს ივანიშვილს შარშან, გავრილოვის ღამის შემდეგ. მაშინაც არავითარი კრიზისი არ იყო. იმ გამოსვლებში მონაწილეობდა რამდენიმე ასეული ადამიანი, პოლიციას სცემდა 30-40 კაცი, მეტი არა. ვითარება გაბერეს, არიქა, კრიზისიაო, გამოიყვანეს ივანიშვილი და ათქმევინეს, პროპორციული არჩევნები იქნებაო.

ამ განცხადებამ, პირველ რიგში, სიტუაცია „ოცნებაში“ არია. მაჟორიტარებმა სრულიად პროპორციული არჩევნების პროექტს ხმა არ მისცეს. ამან „ოცნებაში“ კრიზისი გამოიწვია. ვინც კი ინგლისური ენა იცოდა, „ოცნების“ რიგები ყველამ დატოვა. ასეთი სათაურები იყო დასავლურ პრესაში. „ოცნების“ შიგნით მართლა კრიზისი იყო. წარმოიდგინეთ, ახლანდელ არჩევნებზე 5%-იანი ბარიერი რომ ყოფილიყო.

რიშონ ლეციონის ოჯახურ საქმეთა სასამართლოში

საქმე N 29940-07-20

მოსარჩელე:

მარინა იოსებაშვილი, პ/ნ: 327220539

რწმუნებული პირის, ადვოკატ შემეშის მეშვეობით

მისამართი: 67133 თელ-ავივი, ჰასმონელების ქუჩა 100.

ტელ: 03-5628181, ფაქსი: 03-6244352.

ელ-ფოსტა: shemesh-adv@013net.net

მოპასუხე: დავით ლეჟავა, საქართველოს პასპორტი N 05AC40215

შეტყობინება სათანადო ზომების მიღების შესახებ

მოპასუხეს:

1. გაცნობებთ, რომ 14.07.20 წელს თქვენ წინააღმდეგ შეტანილ იქნა სარჩელი ქორწინების შეწყვეტის მოთხოვნით, მოსარჩელის მიერ, რიშონ ლეციონის ოჯახურ საქმეთა სასამართლოში, ისრაელის სახელმწიფოში. საქმე N 29940-07-20.
2. აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ თქვენ აპირებთ თავის დაცვას, უნდა წარმოადგინოთ შესაგებელი, თანმხლები დოკუმენტაციით (ფორმა 43 ბ, საპროცესო კანონი), როგორც ითხოვს 1984 წლის სამოქალაქო საპროცესო კანონის 343 (ბ) (1) მუხლი, წინამდებარე განცხადების გამოქვეყნებიდან 60 დღის განმავლობაში. მოპასუხის მოწვევით სასამართლოში, ისრაელში. სხვა შემთხვევაში შესაძლოა თქვენ წინააღმდეგ გამოტანილ იქნეს გადაწყვეტილება დაცვის გარეშე.
3. სარჩელის ასლი არის სასამართლოში, შესაძლებელია მისი მიღება აგრეთვე მოსარჩელის რწმუნებული პირისაგან.

დანიელ კეც,

მოსარჩელის ადვოკატი

აშშ-ის ვიზებთან დაკავშირებული თაღლითობისთვის ჯიმი მაქაცარია და სოფიო ჩაგანავა დააკავეს

სამართალდამცავებმა ამერიკის შეერთებული შტატების ვიზის დამზადების სანაცვლოდ დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლების ბრალდებით საქართველოს ორი მოქალაქე, ჯიმი მაქაცარია და სოფიო ჩაგანავა, დააკავეს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, საქართველოს ორი მოქალაქე – 1985 წელს დაბადებული ვ.მ. და 1985 წელს დაბადებული ს.ჩ., მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ამერიკის შეერთებული შტატების ვიზის დამზადების სანაცვლოდ დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლების ბრალდებით თბილისში დააკავეს.

დანაშაული 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულებმა წინასწარი შეთანხმებით, დიდი ოდენობით თანხის მიღების მიზნით, საქართველოს ერთ-ერთი მოქალაქე მოატყუეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ვიზის მიღებაში დაეხმარებოდნენ, რის სანაცვლოდაც მოსთხოვეს 17.000 აშშ დოლარი, საიდანაც 8.500 აშშ დოლარი წინასწარ, ნაწილ-ნაწილ თავიანთ ანგარიშზე ჩაარიცხვინეს. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

როგორც დაზარალებული „კურიერთან“ ამბობს, დაკავებულები მას ჰპირდებოდნენ, რომ ამერიკაში ნოე სულაბერიძის და გია ჯაჯანიძის დახმარებით გაუშვებდნენ:

– გამაცნო თავი, როგორც პროდიუსერმა ზურა მელაშვილმა. მითხრა, რომ ტარდებოდა კინოფესტივალი ამერიკაში, საქართველოდან კი ჯგუფი მიდიოდა, რომელსაც ჰქონდა გამოსვლა 6 აგვისტოს. მეც ამ ჯგუფით წამიყვანდნენ. უნდა შევსულიყავით საელჩოში 29-ში, მანამდე გამომიტანეს ვიზა და გამიკვირდა, შესვლის გარეშე ვიზა როგორ გამომიტანეს-თქო. დავეჭვდი და როცა ჩემი ეჭვების შესახებ ვუთხარი, თვითონაც შეშფოთდნენ. ამის მერე გავიდა 6 თვე, მიცემული მქონდა თანხის ნაწილი და მერე იძახდა, ჯაჯანიძის შოუ მიდის და იმას გაგაყოლებ 23 სექტემბერსო, ჩაწერა აქვს ამერიკაში ნოე სულაბერიძესაცო. მაგათ იციან ყველაფერი შენზეო და წაგიყვანენო. ეს ადამიანი იყენებდა ალბათ მათ სახელებს.

ჯიმი მაქაცარიასა და სოფიო ჩაგანავას მოსამართლემ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

ჯიმი მაქაცარიას ადვოკატი ამბობს, რომ ბრალს არ ეთანხმება, თუმცა ადასტურებს, რომ მისი კლიენტი სავიზო მომსახურებას ნამდვილად ეწეოდა.

სოფიო ჩაგანავა ბრალს არ აღიარებს.

„ხატიამ ცესკოს დასაჭერთა სიაში ჩაგვაწერინა შენი თავი“

რა მისწერა თედო გობეჯიშვილს აკაკი კობალაძემ

საქართველოს გენერალური პროკურატურა ისინის №5 საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თეოდორე გობეჯიშვილის მიმართ ჯგუფურად განხორციელებული იძულების, მუქარისა და ქრთამის მიცემის ფაქტზე მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე მოპოვებული მტკიცებულებების ნაწილს ასაჯაროებს.

კერძოდ, საგამოძიებო უწყება ასაჯაროებს სისხლის სამართლის საქმეზე მოპოვებული მტკიცებულებების სახით ბრალდებულების აკაკი ხუსკივაძის და აკაკი კობალაძის მიმოწერას, რომლებიც, უწყების განმარტებით, ადასტურებს, რომ ბრალდებულები მათთვის სასურველი შედეგის მისაღებად თეოდორე გობეჯიშვილს ემუქრებოდნენ.

„ვასაჯაროებთ სისხლის სამართლის საქმეზე მოპოვებული მტკიცებულებების სახით ბრალდებულების მიმოწერას, რომლებიც ადასტურებს, რომ ბრალდებულები მათთვის სასურველი შედეგის მისაღებად, თ.გ.-ს ემუქრებოდნენ მათ შორის იმით, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების მოსვლის შემდეგ თ.გ.-ს დააპატიმრებდნენ. ბრალდებული აკაკი კობალაძე ბრალდებულ აკაკი ხუსკივაძეს უგზავნის მოკლე ტექსტურ შეტყობინებას:

„ხატიამ ცესკოს დასაჭერ გამყალბებელთა სიაში შეგიყვანაო, ეს მივწერე“.

აკაკი კობალაძე გარდაცვლილ თედო გობეჯიშვილს უგზავნის მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს: „რა ქენი თედო ასეთი, ცესკოს დასაჭერთა სია ვნახე და იქ წერიხარ, ხატიამ ჩაგვაწერინა“, ასევე – „არ დაგეკარგება, შენს სახელზე შეინახება“, რაშიც ბრალდებული თედო გობეჯიშვილისთვის ქრთამის სახით შეთავაზებულ 50.000 აშშ დოლარს გულისხმობს“ – ნათქვამია გენერალური პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ზოვრეთში ლილუაშვილების ოჯახის დაყაჩაღება სცადეს

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოვრეთში ოთხი ნიღბიანი პირი ლილუაშვილების ოჯახში შეიჭრა.

მათ მუქარის ძალით თანხის წაღება სცადეს, თუმცა სახლის მფლობელებმა წინააღმდეგობა გაუწიეს.

ოჯახის ერთ-ერთი წევრის თქმით, მათ წინააღმდეგობის გაწევის დროს ხმაური ატეხეს და დახმარება ითხოვეს, რის შემდეგაც მძარცველებმა ჰაერში გაისროლეს და გაიქცნენ.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება 179-ე მუხლით დაიწყო.

ტაქსის კოვიდინფიცირებულ მძღოლს მგზავრები გადაჰყავდა

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, მიმდინარე წლის 4 დეკემბერს, 2 კოვიდინფიცირებული მოქალაქე – ტაქსის მძღოლი და მისი თანმხლები პირი იმ დროს დააჯარიმეს, როდესაც ისინი თბილისში, აბაშიძის ქუჩაზე, ავტომანქანით გადაადგილდებოდნენ.

1966 წელს დაბადებული ბ.ჭ. და 1960 წელს დაბადებული ბ.ჩ. კორონავირუსით ინფიცირებულები არიან და კოვიდაღრიცხვაზე 2020 წლის 27 ნოემბრიდან იმყოფებიან.

ორივე მამაკაცი, იზოლაციის ნაცვლად, ქალაქის ქუჩებში ბ.ჭ.-ს სარგებლობაში არსებული ავტომანქანით – ტაქსით გადაადგილდებოდა, რაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას წარმოადგენს. ამასთანავე, ინფიცირებულ ბ.ჭ.-ს აღნიშნული ტაქსით მგზავრები სისტემატურად გადაჰყავდა.

ორივე კოვიდინფიცირებული პირი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42-ე პრიმა-10 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის 2.000-2.000 ლარით დაჯარიმდა, რის შემდეგაც ისინი კოვიდსასტუმროში გადაიყვანეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა, დაიცვან კანონი და დაემორჩილონ დაწესებულ რეგულაციებს.

პირი ავარიაში ორჯერ მოჰყვა

4 დეკემბერს ღამით ჩხოროწყუ-მუხურის გზაზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. სასწრაფო დახმარების ეკიპაჟს დაშავებული საავადმყოფოში გადაჰყავდათ, როდესაც სასწრაფოს ავტომობილიც ავარიაში მოყვა.

სასწრაფოს მანქანა, რომელსაც პაციენტი გადაჰყავდა, საპირისპირო მიმართულებით მოძრავ ავტომობილს შეეჯახა. ექიმების სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, ისინი თავს კარგად გრძნობენ. რაც შეეხება დაშავებულ პაციენტს, რომელიც ორმაგ ავარიაში მოჰყვა, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა.

იგი რეანიმობილით ახლა ქუთაისის კლინიკაში გადაჰყავთ. შსს-ს ცნობით, სსკ-ის 276-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს გამოძიება.

პოლიციამ ქუთაისში ავტომობილების გაქურდვის ფაქტი გახსნა

მხილებულია 2 არასრულწლოვანი

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილ ქურდობის ფაქტზე 2 არასრულწლოვანი – 2004 წელს დაბადებული გ.მ. და 2003 წელს დაბადებული რ.ხ. ამხილეს.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მხილებულებმა მიმდინარე წლის 1 დეკემბერს, ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირზე, 4 მოქალაქის კუთვნილი ავტომობილებიდან კომპიუტერული მოწყობილობა – ე.წ. პლანშეტი, ასევე, სხვადასხვა დასახელების პირადი ნივთები მოიპარეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ორივე არასრულწლოვანი, დანაშაულის შესაძლო ჩადენაში, მომხდარიდან მეორე დღესვე ამხილეს. პოლიციამ ნაქურდალი ნივთების ნაწილი ნივთმტკიცებად ამოიღო.

მხილებულები დანაშაულს აღიარებენ.

წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილ ქურდობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ს 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

ჭავჭავაძეზე პატრული ქალს დაეჯახა

5 დეკემბერს თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე, საპატრულო პოლიციის ავტომობილი ქვეითად მოსიარულეს დაეჯახა. საქართველოს პროკურატურამ ავტოსაგზაო შემთხვევის ფაქტზე სსკ-ის 276-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ავტოსაგზაო შემთხვევა ჯანმრთელობის დაზიანებით) გამოძიება დაიწყო.

გამოძიებით დგინდება, რომ 5 დეკემბერს, თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე, მოძრავი საპატრულო პოლიციის ავტომობილი, რომელსაც საპატრულო პოლიციის პატრულ-ინსპექტორი დ.კ. მართავდა, ქვეითად მოსიარულე ე.ს.-ს შეეჯახა. დაშავებული კლინიკაში გადაიყვანეს.

კანონიერი ქურდის, ბორია აფაქელას, სახელით ბიზნესმენს 10.000 დოლარის გადახდა მოსთხოვეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებებისა და სპეციალური ოპერატიული ღონისძიების შედეგად, თბილისში 2 პირი დააკავეს.

1974 წელს დაბადებულ, წარსულში ნასამართლევ დ.ხ.-სა და 1997 წელს დაბადებულ ნ.ბ.-ს ბრალად ედებათ „ქურდული სამყაროს“ წევრობა და ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარება, ჩადენილი ჯგუფურად.

დანაშაული 7-დან 11 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა ბიზნესმენს – კ.მ.-ს, რომელიც თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში საქმიანობდა, ე.წ. „კანონიერი ქურდის“ – ბორია აფაქელას სახელით, „ქურდული სამყაროს“ სასარგებლოდ, 10.000 აშშ დოლარის გადახდა მოსთხოვეს. დ.ხ. და ნ.ბ. ბიზნესმენს იარაღის დემონსტრირებით დაემუქრნენ, რომ მოთხოვნილი თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, მას ძალის გამოყენებით გადაიყვანდნენ თურქეთის რესპუბლიკაში, ე.წ. „კანონიერ ქურდთან“ საქმის გარჩევის მიზნით.

სამართალდამცველებმა ორივე ბრალდებული თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში მას შემდეგ დააკავეს, როდესაც მსხვერპლმა მათ მოთხოვნილი თანხის ნაწილი – 5.000 აშშ დოლარი გადასცა.

პოლიციამ, დაკავებულების ავტომანქანის ჩხრეკისას, 5.000 აშშ დოლარი, ხოლო ბრალდებულების დროებითი საცხოვრებელი სახლიდან – 2 ცეცხლსასროლი პისტოლეტი, 2 მჭიდი და 13 საბრძოლო ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღო. სამართალდამცველებმა, ასევე, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს დაკავებულების მობილური ტელეფონები, რომელთა საშუალებითაც ისინი საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ „კანონიერ ქურდს“ უკავშირდებოდნენ.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 223-ე პრიმა მუხლის 1-ელი ნაწილით და 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს „ქურდული სამყაროს“ წევრობას, ასევე, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას, ჩადენილს ჯგუფურად.

ქართველი მძღოლი ტრაბზონთან ავარიაში დაიღუპა

საქართველოს მოქალაქე ემსხვერპლა ავტოსაგზაო შემთხვევას, რომელიც თურქეთში, ტრაბზონის პროვინციაში მოხდა.

ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, სატვირთო ავტომობილის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა.

ადგილზე მობილიზებულმა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფმა დაშავებული მძღოლის გადარჩენა ვერ შეძლო. მედიის ცნობით, სატვირთო მანქანა საქართველოს მიმართულებით ქალაქ ისკენდერუნიდან მოდიოდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1049 ფაქტი გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, ბოლო 24 საათის განმავლობაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1049 ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად 67 ფიზიკური პირი დააჯარიმა.

დაჯარიმებულთა შორის არიან მოქალაქეები, რომლებმაც 21 საათიდან დილის 5 საათამდე დაწესებული გადაადგილების შეზღუდვის წესი დაარღვიეს.

გარდა ამისა, 24 საათის განმავლობაში პირბადის ტარების წესის დარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად 982 ფიზიკური პირი დაჯარიმდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ არსებულ რეგულაციებს.

პირბადის ტარების წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(11) -ე მუხლის შესაბამისად, ჯარიმას 20 ლარის ოდენობით.

იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად, ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2 000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 10 000 ლარის ოდენობით. განმეორებითი ჯარიმა კი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

ერდოღანი: „საფრანგეთის რეზოლუცია ყარაბაღის თაობაზე კატასტროფაა“

თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა საფრანგეთის პარლამენტის რეზოლუციას მთიანი ყარაბაღის შესახებ „სრული კატასტროფა“ უწოდა.

– გადაწყვეტილება, რომელიც საფრანგეთის პარლამენტმა, მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარე ქვეყანამ მიიღო, სკანდალის ჩარჩოების მიღმა, სრული კატასტროფაა, – განაცხადა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა აღმოსავლეთ თურქეთში ახლად აშენებული ავტომაგისტრალის გახსნის ცერემონიაზე.

ერდოღანმა აღნიშნა, რომ აზერბაიჯანმა საკუთარი მიწები გაათავისუფლა, რომლებიც სომხეთს თითქმის 30 წლის განმავლობაში დაპყრობილი ჰქონდა.

– ეს აზერბაიჯანმა გააკეთა ლეგიტიმურობის ჩარჩოებში, – აღნიშნა ერდოღანმა.

საფრანგეთის პარლამენტში რეზოლუცია, რომელიც ხელისუფლებას მთიანი ყარაბაღის აღიარებას მოუწოდებს, პარასკევს მიიღეს.

საფრანგეთის მთავრობა 76 მეჩეთის დახურვას აპირებს

საფრანგეთის მთავრობამ, შესაძლოა, 76 მეჩეთის დახურვის გადაწყვეტილება მიიღოს. ამის მიზეზად რელიგიურ ექსტრემიზმთან ბრძოლა სახელდება.

მთავრობის ინფორმაციით, ეს მეჩეთები სეპარატიზმში არიან ეჭვმიტანილები.

საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრი ჯერალდ დარმანინი ამბობს, რომ უახლოეს დღეებში ამ მეჩეთებს შეამოწმებენ და თუ მათი ეჭვი დადასტურდება, დახურავენ.

ამასთან, რადიკალიზაციაში ეჭვმიტანილი 66 პირი ქვეყნიდან უკვე დეპორტირებულია.

– არსებობს ღვთისმსახურების ადგილები, რომლებიც აშკარად ანტირესპუბლიკურია, სადაც იმამებს დაზვერვის სამსახურები აკვირდებიან და სადაც წარმოებული დისკურსი ჩვენს ღირებულებებს ეწინააღმდეგება, – ამბობს ჯერალდ დარმანინი.

რელიგიურ ექსტრემიზმთან ბრძოლის გამო იხურება მეჩეთები ავსტრიაშიც. ამასთან, დასაშვები ხდება ეჭვმიტანილი პირების პრევენციული დაკავება.

დიდ ბრიტანეთში კორონავირუსის ვაქცინა მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი 2 კვირაში იქნება

დიდ ბრიტანეთში კორონავირუსის ვაქცინა მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი 2 კვირაში იქნება.

ამ ინფორმაციას სამეფოს მედიკამენტებისა და სამედიცინო აღჭურვილობის მარეგულირებელი სააგენტო ავრცელებს.

– ვაქცინის ხელმისაწვდომობის შესახებ ახალი ამბავი დამაიმედებელია. ეს ნიშნავს, რომ 2021 წელს დიდი ოპტიმიზმით შევხვდებით. ვაქცინაცია კორონავირუსის შემთხვევების რაოდენობას მნიშვნელოვნად შეამცირებს, – აცხადებენ სააგენტოში.

მიმდინარე კვირიდან ინგლისის 50 სამედიცინო ცენტრში მოსახლეობის ვაქცინაცია დაიწყება.

ბოლო მონაცემებით, გაერთიანებულ სამეფოში კორონავირუსის 1.7 მილიონზე მეტი შემთხვევა ფიქსირდება, ვირუსს 61.000-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა.

თურქეთში, ანტალიაში, 5,2 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა

5 დეკემბერს თურქეთში, ანტალიის სანაპიროზე, 5.2 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა.

მიწისძვრის კერა გაზიფაშას რაიონში დაფიქსირდა.

მიწისძვრის კერის სიღრმე 77.58 კმ სიღრმეზე მდებარეობდა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით. კეთდება მხოლოდ კბილის მოსახსნელი პროთეზები, გარანტიით. არის იტალიური, რუსული წარმოშობის. ტელ: 555-72-64-98.

მარცხი ფიჯისთან – შემოდგომის ერთა თასი დასრულდა

საქართველო-ფიჯი 24:38

„შემოდგომის ერთა თასის“ ბოლო მატჩში საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ქულები ბლომად აგროვა, ფიჯის 3 ლელო დაუდო, მაგრამ მეტოქემ 2-ჯერ მეტის გატანა მოახერხა და 38:24 მოიგო.

ამრიგად, „ბორჯღალოსნებმა“ 2020 წლის სანაკრებო სეზონი დაასრულეს. განახლებულმა გუნდმა, წლის განმავლობაში, უფრო კონკრეტულად კი შემოდგომაზე, 5 უმაღლესი დონის შეხვედრა ჩაატარა. ახალგაზრდა მორაგბეებმა საერთაშორისო კარიერის სტარტზევე მიიღეს ფასდაუდებელი გამოცდილება, რაც მათ კარიერას ბოლომდე გაყვება.

„ბორჯღალოსნებმა“ დაიწყეს ახალი გუნდის შენება, რომელმაც 2023 წლის მსოფლიო თასზე უნდა ითამაშოს. თუ რა დონეზე, ამას მომავალი გვიჩვენებს.

საფრანგეთში გასამართი მსოფლიო თასის ჯგუფური ეტაპის კენჭისყრა 14 დეკემბერს გაიმართება და ცნობილი გახდება საქართველოს მომავალი მეტოქეების ვინაობა.

ახალგაზრდულ ნაკრებთა ევროპის ჩემპიონატს რუმინეთთან ერთად ვუმასპინძლებთ

უეფას-ს 21 წლამდე ნაკრებთა ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი მასპინძელი საქართველო იქნება. უეფა-ს გადაწყვეტილებით, 2023 წლის ტურნირი 2 ქვეყანაში გაიმართება – ევროპის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელებს საქართველო და რუმინეთი უმასპინძლებენ.

აღნიშნული გადაწყვეტილება, ევროპული ფეხბურთის მმართველმა ორგანომ (უეფა) აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე მიიღო.

16 ევროპული ნაკრები 4 ჯგუფში გადანაწილდება. თითოეული ქვეყანა 2-2 ჯგუფს უმასპინძლებს. ჩემპიონატის დებულების თანახმად, ორივე მასპინძელი ქვეყანა – საქართველო და რუმინეთი ფინალურ ეტაპზე საკვალიფიკაციო ეტაპის გავლის გარეშე ითამაშებს.

ევრო 2023-ის ახალგაზრდულ ნაკრებთა ფინალური მატჩი ბათუმის სტადიონზე შედგება, ხოლო გახსნით მატჩს რუმინეთი უმასპინძლებს.

ჯგუფური შეხვედრები 4 სტადიონზე გაიმართება: მათ შორის ბათუმში (ბათუმი არენა), ფოთსა (ფაზისი) და თბილისში (ბორის პაიჭაძის სახელობის დინამო არენა და მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი).

ჯგუფური ეტაპისა და ფინალის გარდა, საქართველო 2 მეოთხედფინალურ და ერთ ნახევარფინალურ მატჩსაც უმასპინძლებს.

ლევან კობიაშვილი:

– უეფასგან ნამდვილად სასიხარულო ინფორმაცია მივიღეთ. 2023 წელს საქართველო რუმინეთთან ერთად 21 წლამდე ნაკრებთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. პირველ რიგში, მინდა მივულოცო ჩვენი ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს, განსაკუთრებით, ქართული ფეხბურთის გულშემატკივარს. მსგავსი მასშტაბის ტურნირი ჩვენ ქვეყანაში ჯერ არ ჩატარებულა. მასპინძლობის უფლების მოპოვებას ვულოცავ ჩვენს რუმინელ კოლეგებს. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ისევე, როგორც რუმინეთის ახალგაზრდული ნაკრები, ჩვენი გუნდი ავტომატურად მიიღებს ფინალურ ეტაპზე მონაწილეობას. ტურნირის მასპინძლობა პირველ რიგში მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მოხდება საქართველოში ფეხბურთის უფრო მეტად პოპულარიზაცია და ხელშეწყობა. ჩვენი ახალგაზრდებისთვის კი ეს იქნება უდიდესი გამოცდილება, რასაც სამომავლოდ გამოიყენებენ ეროვნულ ნაკრებში სათამაშოდ. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩემპიონატის ფინალური მატჩი საქართველოში გაიმართება. ბათუმის არაჩვეულებრივი ახალი სტადიონი ჩვენს ქვეყანას საერთაშორისო ასპარეზზე წარმოაჩენს. ეს არის კიდევ ერთხელ დასტური ჩვენი და უეფას წარმატებული თანამშრომლობისა და მხარდაჭერის ჩვენი და ზოგადად ქართული ფეხბურთის მიმართ. კიდევ ერთხელ ვულოცავ ქართული ფეხბურთის თითოეულ გულშემატკივარს. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ქართული ფეხბურთის ისტორიაში.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კალეიდოსკოპი

ცხრა წლის ბიჭმა ნაბუქოდონოსორის დროინდელი მძივი იპოვა



იერუსალიმში ტაძრების მთაზე ცხრა წლის ბიჭმა იპოვნა ოქროს მძივი, რომელიც მეფე ნაბუქოდონოსორის ეპოქას განეკუთვნება. წინასწარი მონაცემებით, მისი ასაკი სამი ათასი წელია.

სამკაულის ნაწილი, რომელიც ბიჭმა იპოვა, რამდენიმე ოქროს ბურთულისგან შედგება, რომლებიც ყვავილის ფორმისაა. მძივი კარგადაა შემონახული, ამიტომ არქეოლოგმა, რომელსაც ის აჩვენეს, თანამედროვედ მიიჩნია.

თუმცა გამოკვლევის შემდეგ ის მიხვდა, რომ ნივთი პირველი ტაძრის ეპოქას განეკუთვნებოდა, ანუ მისი ასაკი სამი ათას წლად შეფასდა. აღსანიშნავია, რომ იმ დროს ოქრო სუფთა სახით დიდ იშვიათობას წარმოადგენდა, ვინაიდან იმდროინდელი ოქროს ნაკეთობების უმრავლესობა ვერცხლის მინარევებს შეიცავდა.

მეფე ნაბუქოდონოსორი ბაბილონის სამეფოს ჩვენს წელთაღრიცხვამდე 634-562 წლებში მართავდა და ცნობილი იყო, როგორც წარმატებული დამპყრობელი და პოლიტიკოსი.

მოზარდმა ზვიგენებს ნავში აასწრო

ავსტრალიის ქალაქ პერტის მკვიდრმა ვიდეოზე გადაიღო ორი ვიწროკბილება ზვიგენი, რომლებიც მიცურდნენ ნავთან, რომელშიც ასვლა მან მტაცებელ თევზებს აასწრო.

17 წლის მაქს ფრიდმანი მეგობრებთან ფლეტჩერთან, ტობისა და ჯიმისთან ერთად სერფინგით სასრიალოდ და სათევზაოდ იმყოფებოდა. ისინი ნავით ერთ მომცრო რიფთან მიცურდნენ, რომელიც კუნძულ როტნესტის შორიახლოს ჯორჯის ყურის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს.

ისინი რამდენიმე საათი სერფინგით იყვნენ დაკავებულები. როგორც კი ფრიდმანი წყლიდან ნავში ავიდა, მან ორი წვრილკბილა ზვიგენი შენიშნა, რომელიც მას მისდევდნენ და ისინი ვიდეოზე გადაიღო.

– ისინი ჩვენი ნავის გარშემო გარკვეული დროის განმავლობაში დაცურავდნენ. ასე თითქოსდა სრულიად უწყინარები იყვნენ, მაგრამ შიშს მგვრის იმის წარმოდგენა, თუ რა შეიძლება მომხდარიყო, ჩემთვის წყალში ყოფნის დროს რომ მოესწროთ, – განაცხადა ფრიდმანმა.

100 წლის მამაკაცმა დღეგრძელობის საიდუმლოდ ალკოჰოლი და სიგარეტი დაასახელა

ჩინეთის მკვიდრმა, რომელსაც მიმდინარე წლის 27 ივნისს 100 წელი შეუსრულდა, საკუთარი დღეგრძელობის საიდუმლოდ ალკოჰოლი, სიგარეტი და ფასტფუდი დაასახელა.

ჩუან კემინის მტკიცებით, ასე დიდხანს იმის წყალობით ცოცხლობს, რომ ეწევა, სვამს ალკოჰოლურ სასმელებს და ჭამს იმას, რასაც კი მოისურვებს. მისი თქმით, ის არასოდეს ნერვიულობს მავნე საკვების გამო და იშვიათად ღიზიანდება.

ჩინელმა ალკოჰოლსა და თამბაქოს საკუთარი ცხოვრების ყველაზე დიდი გატაცებაც კი უწოდა. მიუხედავად ამისა, მას იმის აღიარება მოუწია, რომ მას შემდეგ, რაც 90 წელი შეუსრულდა, ალკოჰოლური სასმელების მიღებაც შეამცირა.

100 წლის ჩინელმა მოწევა 20 წლის ასაკში დაიწყო. ის დღემდე დღეში ერთ კოლოფ სიგარეტს ეწევა. მას ჯანმრთელობის რაიმე სახის სერიოზული პრობლემა არ აწუხებს, სმენის დაქვეითების გამოკლებით.

– დღემდე ვერაფრით გამიგია, მოწევა და ალკოჰოლი ბოროტებაა თუ სიკეთე, – განაცხადა კემინმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ალექსანდრე ლორთქიფანიძე: „შიმშილით მომაკვდავი ბავშვების ქვეყანაში ვცხოვრობთ“

– ჩვენ შიმშილით მომაკვდავი ბავშვების ქვეყანაში ვცხოვრობთ. სამარცხვინოა, – აცხადებს „წიგნების თაროს“ წამყვანი ალექსანდრე ლორთქიფანიძე:

– 2013 წელი იყო. გასაოცარი ოთხი წლისთვის ვემზადებოდით. გაერომ კვლევა გამოაქვეყნა, რომელმაც გვითხრა, რომ საქართველოში 77000 ბავშვი სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფება და კვებისთვის დღეში საშუალოდ 2 ლარს მოიხმარს. კვლევამ გვითხრა, რომ საქართველოში, ჩვენ გარშემო 77000 ბავშვი მშიერია. ჩვენ მათ ვიცნობთ, ვხვდებით, ვესალმებით, ან ვაიგნორებთ, მაგრამ ისინი აქ არიან, ჩვენ გვერდით. მათ შიათ.

მას შემდეგ 7 წელი გავიდა. გაეროს ახალი კვლევა აღარ გამოუქვეყნებია, სტატისტიკური მონაცემები ჩემთვის უცნობია, მაგრამ შიმშილი არსად წასულა. აპოკალიფსის მესამე მხედარი თავის შავ ცხენზე შემომჯდარა და საქართველოში დაიარება ბოროტი დონ კიხოტივით, ბავშვებს ებრძვის და გაჭირვებულებს არა სალათა შუბით, ან სამოს შუბით, არამედ შიმშილის ბასრი და ცივი შუბით უსწორდება. ჩვენ კი, კორიდის მაყურებლები, ჯერ ვინუსხებით სანახაობით, შემდეგ რიგ მომენტებში ვშფოთდებით, კულმინაციისას ვნერვიულობთ კიდეც და როცა შიმშილის მხედარი გამარჯვებული ტორეადორივით ჩამოიცლის ტრიბუნებთან – „ოლეე“-ს ვყვირივართ, ტაშს ვუკრავთ და ვესალმებით, ოღონდაც ჩვენამდე არ მოვიდეს, თავისთვის იყოს, სხვისი ჭირი სხვისადვე დარჩეს.

იცით, როდის ინგრევა ადამიანი? როცა მისი კერპები ემხობიან. როცა ხვდება, რომ წყარო, რომელსაც ეძებს, არა უკვდავების, არამედ სიკვდილისაა, ოლიმპო – ნარაიამაა, დაფნის გვირგვინი კი – ყულფი. ასე გავნადგურდი, როცა ჩემი ბავშვობის კუმირმა მეოთხედ მთხოვა ფულის სესხება უკიდურესი გაჭირვების გამო, მე კი პასუხი არ გავეცი, ვითომ არც მინახავს მისი მონაწერი. მთელი ბავშვობა და ახალგაზრდობა მე ის მიყვარდა, მთელი მისი შემოქმედებით, ის ხშირად იყო ჩემი ცხოვრების ლეიტმოტივის ავტორი. როცა გავიცანი, მახსოვს, როგორ მიცემდა გული და როგორ ვღელავდი. როცა პირველად მომწერა, მეგობრებსაც კი გავუზიარე, ნახეთ, ნახეთ-მეთქი. როცა პირველად მთხოვა ფულის სესხება, გულმა რეჩხი მიყო, მაგრამ, ცხადია, მივეცი. სამჯერ გამეორდა ასე. მეოთხედ კი, უბრალოდ, ვეღარ შევძელი განზრახ ამერჩია კუმირის ხატების განადგურებასა და კუმირის რეალურ განადგურებას შორის და ჩემდაუნებურად ეს უკანასკნელი ავირჩიე. განა მის შემოქმედებას რამე აკლდება იმით, რომ უჭირს, მაგრამ მე კი დამაკლდა – რწმენა.

როდესაც ისეთ ქვეყანაში ცხოვრობ, რომელშიც საუკეთესოთა ადგილი მშიერ ბინებშია, რატომ უნდა ეცადო, გახდე საუკეთესო? როცა შენი საყვარელი მწერლები, შენი აზრით რომ გენიოსები იყვნენ, შიმშილსა და გაჭირვებაში იხოცებოდნენ, რატომ უნდა ეცადო, გახდე გენიოსი?

როცა შენი საყვარელი მუსიკოსები, ვის სიმღერებსაც პირველი კოცნისას გულში ღიღინებდი და ვინც შენს ყველა ემოციას აფორმებდნენ მუსიკალურად, ქუჩის კუთხეში ჭიქა არაყზე სულს ჰყიდიან, ანდა საავადმყოფოს მიგდებულ პალატაში მარტოსულად ასრულებენ სიცოცხლეს, რატომ უნდა ეცადო გახდე ვინმეს საყვარელი მუსიკოსი?

ერთადერთი, რაც გადაგარჩენს, დამალვაა. უნდა დაიმალო, არავინ იყო, მრავალსახა ღმერთის ქურუმი გახდე და საკუთარი ვინაობა დაივიწყო, იქნებ ასეთ შემთხვევაში ვერ მოგაგნოს შიმშილის მხედარმა, იქნებ ასეთ შემთხვევაში გქონდეს პური და არ მოკვდე, იქნებ ასეთ შემთხვევაში მაინც მიაღწიო ბოლომდე და ამ ყველაფრის შემყურემ შეძლო და თავად მოიკლა თავი...

ხანდახან არ მესმის, უბრალოდ არ მესმის ადამიანებისა, ვინც ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ ნებისმიერიკურ პრიორიტეტებში პირველ ადგილზე რაიმე სხვას აყენებენ და არა სიღარიბეს. მასლოუს პირამიდაშიც კი მკაფიოდ ჩანს, რომ პირველი, რაზეც სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს, მისი მოქალაქეების სასიცოცხლო პირობებია, პირველი, რაც ჩვენი არსობისა არს – პური. პური, რომელიც 77000 ბავშვს არ აქვს. დიახ, არა ფეხბურთი, არა თეატრი, არა ნებისმიერი სხვა რამ, არც რელიგია, არც ოკუპაცია, არც წართმეული ტერიტორიები, საერთოდ არაფერია მშიერი ბავშვების ცრემლების ფასი, არაფერია ამაზე მნიშვნელოვანი. თუ ამას ვერ ვხვდებით – ე.ი. არასოდეს ჩაგვიხედავს აპოკალიფსის მესამე მხედრის თვალებში.

ის ერთი ხანობა ჩემს სახლში ცხოვრობდა, მე ვიცნობ მის მზერას, ცივს, ცარიელს, მჟავეს. რაღაც დროის შემდეგ მისი მზერა გაშეშებს და გაუსაძლისად გატკიებს თავს.

„ – თოვლის ბაბუას რა უნდა სთხოვოთ?

– იმდენი პროდუქტი მოგვიტანოს, რომ ყველას გვეყოს და რომ არ გვშიოდეს.“

ეს ერთი შარშანდელი სტატიიდანაა ამონარიდი. სტატიაში ჟურნალისტი ერთი გაჭირვებული ოჯახის შესახებ გვიყვებოდა, რომელთაც არ ჰქონდათ ჭერი და პური. გაიცანით ბავშვები, რომლებიც სათამაშოების, წიგნებისა თუ ჯადოსნური ნივთების ნაცვლად ფქვილზე, მაკარონსა და მაწონზე ოცნებობენ.

ეს ჩემი და თქვენი რეალობაა, მეგობრებო. არ მოგატყუოთ თბილისისა და სხვა დიდი ქალაქების ცენტრალურ ქუჩებში გამოფენილმა ბანერებმა და ტურისტულმა პუნქტებმა, არც დიდებულმა კაფე-ბარებმა და კლუბებმა, არ მოგატყუოთ შეღებილმა ფასადებმა და მათი მიღმიდან გამომავალმა მხიარულმა მუსიკამ, ჩვენ შიმშილით მომაკვდავი ბავშვების ქვეყანაში ვცხოვრობთ. სამარცხვინოა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

დინამოელები ჩემპიონს ბოლო ტურში გაარკვევენ

ტორპედო-დინამო (ბთ) 1:2

ქუთაისი. რამაზ შენგელია

0:1 ობოობონა (11), 0:2 ცინცაძე (31პ), 1:2 ადამაძე (45)

ტორპედო: შოვნაძე, ტაბატაძე, ადამაძე, მირცხულავა, ნადარაია, ფურცხვანიძე (შარვაშიძე 67), ჯანელიძე, ივანიშვილი (იონანიძე 78), ტუღუში (გოგუაძე 70), ციცქიშვილი, ფანცულაია

დინამო: ალავიძე, ჩალაძე, გაგოშიძე, ობოობონა, მელიავა, მანჯგალაძე (ჯიჯავაძე 90), ცინცაძე, მამუჩაშვილი, ჯიღაური, გონსალვეში (თევდორაძე 72), ნიქაბაძე (დვალიშვილი 72)

ეროვნული ლიგის მე-15 ტურის გამოტოვებული შეხვედრა ქუთაისის ტორპედომ ბათუმის დინამოს წინააღმდეგ ჩაატარა. ორივე გუნდს 3 ქულა სხვადასხვა მიზნისთვის სჭირდებოდა. მასპინძლები ეროვნულ ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვიან, მაგრამ ეს ამოცანა ვერ შეასრულებს და ამ ამოცანის გადასაჭრელად ფლეი აუტში იბრძოლებენ.

ზღვისპირელებმა ანგარიში მატჩის დასაწყისშივე გახსნეს: ვაგნერ გონსალვეშის კუთხურის შემდეგ ობოობონამ ანგარიში მე-11 წუთზე გახსნა. სტუმრებმა უპირატესობა ორმაგდ 31-ე წუთზე გაზარდეს, როდესაც ქუთაისელთა კარის მიმართულებით დანიშნული თერთმეტმეტრიანი ზუსტად შეასრულა მათე ცინცაძემ.

ტაიმის მიწურულს ტორპედომ გურამ ადამაძის მიერ გატანილი გოლით სხვაობა შეამცირა, მაგრამ დარჩენილ დროში ანგარიში არ შეცვლილა.

ჩემპიონობისთვის მებრძოლმა ბათუმის დინამომ 3 ქულა მოიპოვა და ამ დროისთვის 35 ქულით მეორე ადგილზეა. 16 ქულა რჩება ქუთაისის ტორპედოს, რომელიც გათამაშების ცხრილში მე-8 პოზიციაზე დამკვიდრდა.

დინამო (თბ)-სამტრედია 1:0

თბილისი. დინამო არენა

1:0 ქავთარაძე (41)

დინამო: კვასხვაძე, კლოსტერი (იაშვილი 46), ბენიო, კობოური, ქიმაძე, პაპავა, ქარდავა, პერნამბუკო, კუხიანიძე (მექვაბიშვილი 69), ნ.ქავთარაძე, სხირტლაძე (გაბედავა 45)

სამტრედია: სეფიაშვილი, ჯგერენაია, ჩაკვეტაძე (სამბუ 71), კილასონია, ახალაძე, კერძევაძე (კვირკვია 73), პავისიჩი, რუხაია, თარგამაძე (ეუნიორი 57), დიზი, იმნაძე

მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა თბილისის დინამომ – დედაქალაქელებმა 3 ქულა თერთმეტმეტრიანი დარტყმის წყალობით მიიღეს. შეხვედრაში ერთადერთი გოლი პენალტის ნიშნულიდან ნოდარ ქავთარაძემ 41-ე წუთზე გაიტანა. მას შემდეგ, რაც ტორპედომ ბათუმის დინამოსთან წააგო, მიუხედავად თბილისის დინამოსთან მარცხისა სამტრედიამ ეროვნულ ლიგაში ადგილი შეინარჩუნა, ვინაიდან მდევარს 3 ქულითა და და პირადი მაჩვენებლით უსწრებს.

ამ დროისთვის დედაქალაქურ კლუბს 37 ქულა აქვს და გათამაშების ცხრილს ერთპიროვნულად ლიდერობს. უახლოეს კონკურენტ ბათუმის დინამოსთან სხვაობა 2 ქულაა. ამ მოცემულობის გათვალისწინებით ჩემპიონი ბოლო ტურში გაირკვევა – თბილისელებს ტიტულის დასაცავად ქულაც ჰყოფნით, რადგან ზღვისპირელებს ურთიერთშეხვედრებით სჯობნიან.

სატურნირო ცხრილი:

1.დინამო (თბ)	17	11	4	2	30-9	37
2.დინამო (ბთ)	17	10	5	2	29-14	35
3.ლოკომოტივი	17	8	5	4	29-21	29
4.დილა	17	7	6	4	27-16	27
5.საბურთალო	17	6	6	5	26-20	24
6.თელავი	17	4	11	2	20-13	23
7.სამტრედია	17	5	4	8	13-21	19
8.ტორპედო	17	4	4	9	16-29	16
9.ჩიხურა	17	3	3	11	18-40	12
10.მერანი	17	0	6	11	6-31	6

საქართველოს თასი გაგრამ მოიგო

სამგურალი-გაგრა 0:0 (3:5პ)

გორი. თენგიზ ბურჯანაძე

სამგურალი: მეშველიანი, ბანძეულაძე, პატარკაციშვილი, ტურე, კუხიანიძე, გაზდელიანი, ფონიავა, ქურდაძე, დოლიძე (ჩიხლაძე 72), ბურჯანაძე, კიკაბიძე

გაგრა: კერესელიძე, ხოსიტაშვილი, ჩადუნელი, ნოზაძე, ივანიაძე (ერგემლიძე 84), ხაბელაშვილი (კაკიაშვილი 106), ქობულაძე, ვეკუა, სულთანიშვილი (მანაგაძე 106), მაქაცარია, ლაღაძე (ოქროპირიძე 84)

გაძევება: კიკაბიძე (55)

გორში დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის 2020 წლის გათამაშების ფინალური შეხვედრა გაიმართა. ქართული ფეხბურთის ისტორიაში პირველად მოხდა, რომ გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს 2 პირველლიგელი გუნდი დაუპირისპირდა.

თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე თასის მოსაპოვებლად წყალტუბოს სამგურალი და გაგრა გავიდნენ. მატჩი ყველა ფინალის მსგავსად დაძაბული, მაგრამ უინტერესო გამოდგა.

პირველ ტაიმში სათამაშო უპირატესობას წყალტუბოელები ფლობდნენ, შესვენების შემდეგ კი, გაგრამ მატჩის მსვლელობის შეცვლა მოახერხა.

ამის მიზეზი მსაჯის უცნაური გადაწყვეტილებაა: 55-ე წუთზე გიორგი ყრუაშვილმა მოედნიდან სამგურალის კაპიტანი თედო კიკაბიძე გააძევა, მაგრამ რატომ, ვერ მივხვდით. ყრუაშვილმა, რომელიც ფიფას არბიტრია კიდევ რამდენი შეცდომა დაუშვა. თუ სერგო კუხიანიძის მიმართ დარღვევა საკამათო იყო და გაგრას კარში პენალტი არ დანიშნა, მატჩის ბოლო წუთზე სამგურალის წყალტუბოელთა მიერ საჯარიმოში წესის დარღვევაზე დახუჭა თვალი.

გუნდებმა გოლი ვერც ძირითად და ვერც დამატებით დროში გაიტანეს და თამაში ფრედ – 0:0 დასრულდა.

2020 წლის საქართველოს თასის მფლობელი პენალტების სერიით გამოვლინდა, რომელიც უკეთ გაგრელებმა შეასრულეს და მეტოქე – 5:3 დაამარცხეს.

ფინალური შეხვედრის დასრულების შემდეგ დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი გაიმართა. ფინალის მონაწილე გუნდებს და მსაჯებს კუთვნილი თასი და მედლები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა გადასცა.

სამგურალის დამარცხებით გაგრა არსებობის ისტორიაში მეორედ გახდა დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის მფლობელი.

გაგა კირკიტაძის გუნდი ჩვენს ქვეყანას 2021-2022 წლების სეზონში უეფას კონფერენს ლიგაზე წარმოადგენს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შედეგები

5 დეკემბერი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ბარნლი-ევერტონი 1:1
სიტი-ფულემი 2:0
ვესტ ჰემი-მანჩესტერი 1:3
ჩელსი-ლიდსი 3:1

სატურნირო ცხრილი:

1.ჩელსი	11	6	4	1	25-11	21
2.ტოტენჰემი	10	6	3	1	21-9	21
3.ლივერპული	10	6	3	1	22-17	21
4.მანჩესტერი	10	6	1	3	19-17	19
5.სიტი	10	5	3	2	17-11	18
6.ლესტერი	10	6	0	4	19-14	18
7.ვესტ ჰემი	11	5	2	4	18-14	17
8.საუთჰემპტონი	10	5	2	3	19-16	17
9.ევერტონი	11	5	2	4	20-18	17
10.ვულვზი	10	5	2	3	11-11	17
11.ასტონ ვილა	9	5	0	4	20-13	15
12.ლიდსი	11	4	2	5	16-20	14
13.ნიუკასლი	10	4	2	4	12-15	14
14.კრ.პალასი	10	4	1	5	12-15	13
15.არსენალი	10	4	1	5	10-12	13
16.ბრაიტონი	10	2	4	4	14-16	10
17.ფულემი	11	2	1	8	11-21	7
18.ვესტ ბრომვიჩი	10	1	3	6	7-18	6
19.ბარნლი	10	1	3	6	5-18	6
20.შეფილდი	10	0	1	9	4-16	1

ინგლისი. ჩემპიონიდა

რედინგი-ნოტიმგემი 2:0
ბრენტფორდი-ბლექბერნი 2:2
ბრისტოლი-ბირმინგემი 0:1
ქოვენთრი-როტერჰემი 3:1
მილუოლი-დერბი 0:1
ნორვიჩი-უენსდი 2:1
პრესტონი-უიკომბი 2:2
სტოკი-მიდლსბრო 1:0
სუონსი-ლუთონი 2:0
უოტფორდი-კარდიფი 0:1
ჰადერსფილდი-ქარ 2:0

გერმანია. ბუნდესლიგა

აინტრახტი-დორტმუნდი 1:1
არმინია-მაინცი 2:1
კიოლნი-ვოლფსბურგი 2:2
ფრაიბურგი-გლადბახი 2:2
ბაიერნი-ლაიფციგი 3:3

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	10	7	2	1	34-16	23
2.ლაიფციგი	10	6	3	1	21-9	21
3.დორტმუნდი	10	6	1	3	22-10	19
4.ლევერკუზენი	9	5	4	0	16-9	19
5.ვოლფსბურგი	10	4	6	0	16-10	18
6.უნიონი	10	4	4	2	22-14	16
7.გლადბახი	10	4	4	2	19-16	16
8.აუგსბურგი	9	3	3	3	11-12	12
9.აინტრახტი	10	2	7	1	15-17	13
10.შტუტგარტი	9	2	5	2	17-15	11
11.ჰერტა	10	3	2	5	18-19	11
12.ვერდერი	9	2	5	2	13-15	11
13.ჰოფენჰაიმი	9	2	3	4	15-16	9
14.ფრაიბურგი	10	1	5	4	12-22	8
15.კიოლნი	10	1	4	3	12-17	7
16.არმინია	10	2	1	7	8-20	7
17.მაინცი	10	1	2	7	12-24	5
18.შალკე	9	0	3	6	6-28	3

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ბრაუნშვაიგი-ზ.პაული 2:1
ჰამბურგი-ჰანოვერი 0:1
ფიურტი-ჰაიდენჰაიმი 0:1
ოსნაბრიუკი-კარლსრუე 1:2

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ლევანტე-ხეტაფე 3:0
სევილია-რეალი 0:1
ატლეტიკო-ვალიადოლიდი 2:0
კადისი-ბარსელონა 2:1

სატურნირო ცხრილი:

1.ატლეტიკო	10	8	2	0	21-2	26
2.სოსიედადი	11	7	3	1	22-5	24
3.რეალი	11	6	2	3	17-12	20
4.ვილიარეალი	11	5	5	1	15-11	20
5.კადისი	12	5	3	4	11-13	18
6.სევილია	10	5	1	4	12-9	16
7.ბარსელონა	10	4	2	4	20-11	14
8.გრანადა	10	4	2	4	11-17	14
9.ბილბაო	11	4	1	6	12-12	13
10.ელჩე	9	3	4	2	9-10	13
11.ეიბარი	11	3	4	4	8-9	13
12.ალავესი	11	3	4	4	11-13	13
13.ხეტაფე	11	3	4	4	9-13	13
14.სელტა	12	3	4	5	13-20	13
15.ვალენსია	11	3	3	5	17-17	12
16.ბეტისი	11	4	0	7	12-23	12
17.ლევანტე	11	2	5	4	13-15	11
18.ოსასუნა	10	3	2	5	8-13	11
19.ვალიადოლიდი	12	2	4	6	11-18	10
20.უესკა	11	0	7	4	8-17	7

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

რაიო-ლოგრონიესი 2:1
პონფერადინა-ლას პალმასი 0:0
მირანდესი-ლუგო 0:0
მალაგა-კარტახენა 1:2

იტალია. სერია ა

სპეცია-ლაციო 1:2
იუვენტუსი-ტორინო 2:1
ინტერი-ბოლონია 3:1

სატურნირო ცხრილი:

1.მილანი	9	7	2	0	21-8	23
2.ინტერი	10	6	3	1	26-14	21
3.იუვენტუსი	10	5	5	0	20-8	20
4.სასუოლო	9	5	3	1	18-12	18
5.ნაპოლი	9	6	0	3	20-10	17
6.რომა	9	5	2	2	19-15	17
7.ლაციო	10	5	2	3	16-17	17
8.ვერონა	9	4	3	2	12-7	15
9.ატალანტა	9	4	2	3	18-16	14
10.ბოლონია	10	4	0	6	15-17	12
11.სამპდორია	9	3	2	4	14-15	11
12.კალიარი	9	3	2	4	16-19	11
13.უდინეზე	9	3	1	5	10-12	10
14.სპეცია	10	2	4	4	14-19	10
15.ბენევენტო	9	3	1	5	12-21	10
16.პარმა	9	2	3	4	10-17	9
17.ფიორენტინა	9	2	2	5	10-15	8
18.ტორინო	10	1	3	6	17-24	6
19.ჯენოა	9	1	2	6	8-18	5
20.კროტონე	9	0	2	7	6-20	2

იტალია. სერია ბ

კრემონეზე-ვირტუსი 2:1
ლეჩე-ვენეცია 2:2
სალერნიტანა-ჩიტადელა 1:0
სპალი-პიზა 4:0
ფროზინონე-კიევო 3:2
რეჯინა-ბრეშა 2:1

საფრანგეთი. ლიგა 1

რენი-ლანსი 0:2
მონპელიე-პსჟ 1:3

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	13	9	1	3	33-9	28
2.მარსელი	11	7	3	1	17-9	24
3.ლილი	12	6	5	1	21-8	23
4.ლიონი	12	6	5	1	21-10	23
5.მონაკო	12	7	2	3	23-16	23
6.მონპელიე	13	7	2	4	22-19	23
7.ლანსი	11	6	2	3	18-17	20
8.რენი	13	5	4	4	19-18	19
9.ანჟე	12	6	1	5	18-22	19
10.ბრესტი	12	6	0	6	21-23	18
11.ნიცა	11	5	2	4	16-15	17
12.მეცი	12	4	4	4	12-11	16
13.ბორდო	12	4	4	4	12-13	16
14.ნანტი	11	3	3	5	13-17	12
15.სტ.ეტიენი	12	3	2	7	12-20	11
16.ნიმი	13	3	2	8	11-24	11
17.რეიმსი	12	2	3	7	16-22	9
18.ლორიანი	12	2	2	8	12-22	8
19.სტრასბური	12	2	1	9	14-24	7
20.დიჟონი	12	1	4	6	8-21	7

საფრანგეთი. ლიგა 2

ტრუა-პარიზი 2:1
დიუნკერკი-შატორუ 2:0
კაენი-გრენობლი 1:1
კლერმონი-პო 3:0
ოსერი-ნიორი 6:0
როდეზი-ამიენი 1:2
სოშო-ნანსი 1:1
ტულუზა-გენგამი 2:2
შამბლი-ვალანსიენი 1:2

ნიდერლანდები. ეროვნული დივიზიონი

ვალვაიკი-ვენლო 3:2
სიტარდი-ტილბურგი 3:2
აიაქსი-ტვენტე 1:2

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

გიმარაეშე-პორტიმორენშე 1:0
მორეირენშე-ჟილ ვისენტე 1:1
ფამილიკაო-სპორტინგი 2:2
პორტუ-ტონდელა 4:3

ხუსეთი. პრემიერლიგა

ლოკომოტივი-რუბინი 3:1
სპარტაკი-ტამბოვი 5:1
ზენიტი-ურალი 5:1
კრასნოდარი-როტორი 5:0

შოტლანდია. პრემიერლიგა

ჰამილტონი-კილმარნოკი 1:0
ლივინგსტონი-დ.იუნაიტედი 2:0
მოზერველი-ჰიბერნიანი 0:3
სტ.მირენი-აბერდინი 1:1

ავსტრია. ბუნდესლიგა

ადმირა-ზალცბურგი 1:0
აუსტრია-შტურმი 0:4

შტურმის მე-3 და მე-4 გოლი ოთარ კიტეიშვილმა გაიტანა

ალტახი-სტ.პოლენი 0:4

ბელგია. ა დივიზიონი

ბევერენი-მისკრონი 2:0
ლეუვენი-სერკლი 2:1
ბრიუგე-სტ.ტრუიდენი 1:0

შვეიცარია. სუპერლიგა

ბაზელი-სერვეტი 1:0

საბერძნეთი. სუპერლიგა

ატრომიტოსი-არისი 2:2
ოლიმპიაკოსი-ვოლოსი 4:1

თურქეთი. სუპერლიგა

გიოზთეფე-ქაისერი 1:1
გენჩლერი-ალანია 2:1
მალათია-ბაშაქშეჰირი 1:1
ქონია-ერზრუმი 2:0
გალათასარაი-ხატაი 3:0

ჩეხეთი. 1 ლიგა

ბოჰემიანსი 1905-პარდუბიცე 1:1
ოპავა-ბანიკი 1:2
სიგმა-პრჟიბრჟამი 1:1
პლზენი-კარვინა 0:1

პოლონეთი. ექსტრაჯლასა

იაგელონია-ვარტა 4:3
შლასკი-ჩენსტოხოვა 1:0
ლეგია-ლეხია 2:0

უკრაინა. პრემიერლიგა

ლვოვი-ინგულეცი 1:1
შახტარი-მინაი 5:1
მარიუპოლი-დინამო 1:2

დანია. სუპერლიგა

ვეილე-მიდტიულანდი 0:2

სამგლოვიარო განცხადებები



89 წლის ასაკში გამოაკლდა ჩვენს ქალაქს ღვაწლმოსილი მეღვინე სპეციალისტი, შამპანური კომბინატისა და შემდგომ „სამტრესტის“ ყოფილი მმართველი

არჩილ (აჩიკო) არსენის ძე მელუა

გარდაიცვალა ჩვენი სიყრმისა და კაცობის მეგობარი, ჩვენი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი.

დიდი მწუხარებით თანავუგრძნობთ მის ოჯახს ალეკო ხუნდაძის, რეზო ჭკუასელისა და აწ გარდაცვლილი რეზო ბილიხოძის, ნოდარ გავაშელის, კოკა გეგეჭკორის, გიზო გოგიტიძის, მერაბ ლანდიას, გელა ლოსაბერიძის, გივი ფავლენიშვილის, გურამ მებუკის, ირაკლი ყანდარელის, ოთარ ბოსტოღანაშვილის, ავთო რამიშვილის, ნოდარ მონიავას, ღევან გველესიანის, ნოდარ ნადირაშვილისა და ჯიმი მამუჩაიშვილის ოჯახები.

უდიდესი გულისტკივილით გემშვიდობებით, ჩვენო არჩილ.
ნათელში ამყოფოს უფალმა შენი სული.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. კლიმატური კურორტი ვანის რაიონში; 2. ფრანგული პარფიუმერიული ფირმა; 3. ჩქარტემპიანი ამერიკული ცეკვა; 4. შავი ფერის მელიას ძველი ქართული სახელწოდება; 6. ქართული ტელეკომპანია; 9. ფაიფურის წარმოების ცენტრი საფრანგეთში; 11. ქარიშხალი წყნარ ოკეანეში; 15. წყალქვეშა ნავის მეორე სახელწოდება; 16. ღვინის საბატონო გადასახადი ძველად საქართველოში; 17. უბანი სოხუმში; 19. რაიმეს სიმბოლო; 21. თავისუფალ გლეხთა კატეგორია ძველად საქართველოში; 22. სამშენებლო მოსაპირკეთებელი მასალების მწარმოებელი ქართული ფირმა.

თარაზულად: 5. ძუნწი, ძალზე ხელმომჭირნე ადამიანი; 7. ქართველი საოპერო მომღერალი მამაკაცი; 8. კიევის მერი; 10. თირკმელების ანთება; 12. კოლხეთის მითოლოგიური მეფე; 13. კათოლიკური მამათა მონასტრის წინამძღვარი; 14. საეკლესიო წესით ქორწინება; 18. ათქვეფილი კვერცხის ცილისგან მომზადებული კულინარიული ნაწარმი; 20. მინერალური წყალი სამეგრელოში; 23. ფაკულტეტის ხელმძღვანელი უმაღლეს სასწავლებელში; 24. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი; 25. შტატი აშშ-ში; 26. მემკვიდრეობითობის მატარებელი ჰორმონი ცოცხალ ორგანიზმში; 27. პოლიტიკური პარტიის ნაწილი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. სპეკალი; 2. ამსტელი; 3. შიფონერი; 4. ლოპესი; 5. კარმენი; 8. ჩაპლინი; 9. ხოჭოლავა; 12. ბარტოლდი; 13. გურზუფი; 16. ბერიკები; 17. კოკაინი; 19. ლაზარე; 20. მოხელე.

თარაზულად: 6. ოპტიმიზმი; 7. ხორბალი; 8. ჩხოუში; 10. კანბერა; 11. იედო; 14. ილუზიონი; 15. ბრასკუბა; 18. ბემოლი; 21. ელფესკო; 22. ჩორდი; 23. ერზაცი; 24. ფილისტერი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ვეძისი; 2. კამიუ; 3. სტიაუა; 4. ვეტელი; 6. ალბიონი; 9. წუნდა; 11. ბენიასა; 15. რეზიდენტი; 16. ჟიგული; 17. ნატამალი; 19. ანალიზი; 21. რეგენტი; 22. შეკელი.

თარაზულად: 5. დემენცია; 7. ლიპტონი; 8. ატლასი; 10. ნუსხური; 12. ლოიდი; 13. სქემა; 14. ანდერსენი; 18. არიბა; 20. სირაჯი; 23. ბერდია; 24. გემა; 25. მალამო; 26. ლოტი; 27. ეტიკეტი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

7 დეკემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.3115

ევრო — 4.0304

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.4540

100 რუსული რუბლი — 4.4551

ამინდის პროგნოზი 7 დეკემბრისათვის

დემბელე ტრავმის გამო 3 კვირას გამოტოვებს

ბარსელონა სტუმრად კადისთან დამარცხდა 1:2 და ამით სატურნირო მდგომარეობა კიდევ უფრო გაირთულა, თუმცა ამით კატალონიელების უსიამოვნებები არ დასრულებულა. გუნდის ერთ-ერთმა წამყვანმა ფორვარდმა უსმან დემბელემ ტრავმა მიიღო და ის დაახლოებით 3 კვირას გამოტოვებს.

დემბელესთვის ტრავმები უცხო არ არის, რადგან ბარსელონაში გადმოსვლის შემდეგ მას ხშირად აქვს ეს პრობლემა. სავარაუდოდ, დემბელე მოედანზე დეკემბრის ბოლოს დაბრუნდება.

პსჟ მბაპეს დათანხმებას ცდილობს

ფრანგული პსჟ ცდილობს, რომ თავისი ერთ-ერთი ლიდერი კილიან მბაპე ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე დაითანხმოს და მას უფრო მაღალ ხელფასს სთავაზობს, თუმცა მბაპეს ისედაც ძალიან დიდი ანაზღაურება აქვს.

მბაპეს ჯერ გადაწყვეტილება არ მიუღია და ის სხვა გუნდებზეც ფიქრობს, განსაკუთრებით მადრიდის რეალზე. პსჟ-სთან კონტრაქტი კილიანს ორ წელიწადში უმთავრდება და იქამდე ბევრი რამ უნდა გაირკვეს.

ზიდანი: „სევილიასთან მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ“

მადრიდის რეალის მთავარმა მწვრთნელმა ზინედინ ზიდანმა სევილიასთან გამარჯვების შემდეგ კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ მისი გუნდისთვის ეს მნიშვნელოვანი მოგება იყო, რადგან რეალს ბოლო პერიოდში რთული დრო ჰქონდა:

– სევილიასთან სამი ქულა ძალიან გვჭირდებოდა და ეს შედეგი მომავალ მატჩებში თავდაჯერებულობას მოგვიმატებს. ფეხბურთელებმა შესანიშნავი მატჩი ჩაატარეს და არც ერთის მიმართ პრეტენზია არ მაქვს. სევილიას დამარცხება იოლი არასოდეს არის.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

პრინცი ჰარი ნაძვის ხეების გამყიდველი ეგონათ

სასექსის ჰერცოგი პრინცი ჰარი მაღაზიაში, რომელშიც ის მეუღლე მეგან მარკლთან ერთად საყიდლებზე მივიდა, ის საშობაო ნაძვის ხეების გამყიდველად მიიჩნიეს.

წყვილმა სადღესასწაულო ნაძვისხე და თავიანთი ბინისთვის მოსართავები შეარჩიეს. ამ დროს პრინცს მიუახლოვდა პატარა ბიჭი და ჰკითხა, ის მაღაზიაში ხომ არ მუშაობდა.

როგორც ამ მაღაზიის გამყიდველმა განაცხადა, პრინცი ჰარი და მეგან მარკლი ძალიან კარგი და კეთილი ადამიანის შთაბეჭდილებას ახდენენ.

– ძალიან მიხარია, რომ მათ ჩვენი ნაძვის ხე მოეწონათ, – განაცხადა მაღაზიის გამყიდველმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

7 დეკემბრისათვის

ვერძი – დაძაბული პერიოდია. ინტრიგები დილიდანვეა მოსალოდნელი. უეცარი დაბრკოლება თქვენს საქმეებზე უარყოფითად აისახება. **კურო** – პლანეტა ვენერა რომანტიკულ ურთიერთობებში გეხმარებათ. განსაკუთრებით იღბლიანი დღეა ქალებისათვის. სიახლეების ნუ შეგეშინდებათ. **ტყუპები** – საქმიანი აქტივობისათვის შეუფერებელი დღეა. მოშურნეები ყველანაირად ხელს შეგიშლიან. საჭიროების შემთხვევაში დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ. **კირჩხიბი** – სიყვარულში ბედი გწყალობთ. დაივიწყეთ ყოველგვარი უსიამოვნება და დატკბით თითოეული წამით. **ლომი** – ხელმძღვანელობასთან და კოლეგებთან ცუდი ურთიერთობა გაქვთ. ნუ აჰყვებით ჭორებს და ერიდეთ საქმის გარჩევებს. **ქალწული** – იღბალი თქვენ მხარესაა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, იდეალურად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **სასწორი** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ. **ღრიანკალი** – დაისვენეთ, ივარჯიშეთ. აქტიურობა სასიკეთოდ წაგადგებათ. ბუნების წიაღში გასვლა ნერვებს დაგიწყნარებთ. **მშვილდოსანი** – თქვენთვის დამახასიათებელი კომუნიკაბელურობის წყალობით საქმიანი პარტნიორების ყურადღებას მიიპყრობთ და ახალ მოკავშირეებსაც გაიჩენთ. გელით რომანტიკული თავგადასავალი. **თხის რქა** – მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **მერწყული** – ფინანსური საკითხები წარმატებით გადაწყდება. დაიცავით ზომიერება ნებისმიერი მოქმედებისას. **თევზები** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. კომერციული საქმიანობა რეკომენდებული არ არის. დიდია მოტყუების ალბათობა. სიჯიუტე და უხეშობა კონფლიქტამდე მიგიყვანთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

●●●

მამა შვილს არიგებს:

– შვილო, დაიმახსოვრე, არასოდეს შეყო თითი შტეფსელში, ხორცსაკეპ მანქანაში და საქორწინო ბეჭედში

●●●

ქმარი ცოლს ეკითხება:

– რატომ დარბის ჩვენი შვილი ოთახიდან ოთახში?

– ფიზკულტურა აქვს მესენჯერში.

●●●

მამაკაცი მატარებლის ვაგონით მგზავრობს და კუპეს ზედა საწოლიდან გადმოვარდა:

– ოჰ, მონიკა, მე შენი დედა...!

ერთ-ერთი მგზავრი ეკითხება:

– რა დაგემართა?

– მონიკა ბელუჩი დამესიზმრა და მითხრა: „მიიწიე!“...

●●●

დედა შვილს ეკითხება:

– საშინაო დავალება ბევრი მოგცეს?

– ჰოო, დღეს საყვირელი არ გამოგელევა...

●●●

რჩევა მამაკაცებს:

– თუ თქვენ სიდედრის სტუმრობამ შეგაწუხათ, მიდით მეუღლესთან და ჰკითხეთ: „საყვარელო, რას აკეთებს დედაშენი სამზარეულოში? რაიმე გემრიელს ამზადებს? თორემ დილიდან ყნოსვა მაქვს დაკარგული და სუნს ვეღარ ვგრძნობ.“

●●●

დეპუტატი დარბაზში სიტყვით გამოდის და მსმენელებს მიმართავს:

– მოსწავლეებმა არასანქცირებულ მიტინგებზე დაიწყეს სიარული. ამისთვის, მათ მშობლებს მშობლის უფლებები უნდა ჩამოერთვათ.

შეკითხვა დარბაზიდან:

– და თუ თქვენი შვილი წავა მიტინგზე?

– ჩემი შვილი მიტინგზე არ წავა, ის ლონდონში სწავლობს.

●●●

რუსს ეკითხებიან:

– მართალია, რომ შეიძლება თქვენ ქვეყანაში იუთუბი აკრძალონ?

– რუსეთში ყველაფერი შეუძლიათ, ეს თავისუფალი ქვეყანაა, აქ შეზღუდვები არ არსებობს!

●●●

ბიჭი გოგოს ეუბნება:

– მოდი, კარტი გახდაზე ვითამაშოთ.

– შენ დანახვა გინდა თუ მერე მეგობრებთან თავის მოწონება?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ხატია ბუნიათიშვილი ფრანგული ჟურნალის ყდაზე დაბეჭდეს

მსოფლიოში აღიარებული ქართველი პიანისტი ხატია ბუნიათიშვილი ცნობილი ფრანგული ჟურნალის „ლე ტემპსის“ ყდაზე დაბეჭდეს. 2020 წლის ბოლო – დეკემბრის ნომერი სწორედ ხატიას ულამაზესი ფოტოთია დამშვენებული.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ხატია უცხოენოვანი ჟურნალის ყდაზე იბეჭდება. ქართველი პიანისტი სისტემატურად ხვდება მსოფლიოს წამყვანი ბეჭდური მედიის ყურადღების ცენტრში და გაზეთებისა თუ ჟურნალების პირველ გვერდებს ამშვენებს.

ანიტა რაჭველიშვილი წლის საუკეთესო მომღერლად დაასახელეს

ოპერის მომღერალი ანიტა რაჭველიშვილი 2020 წლის საუკეთესო მომღერლად დაასახელეს. ჟურნალმა „ოპერამ“ ამ სასიხარულო ინფორმაციის დასტურად თავისი დეკემბრის ნომრის პირველ ყდაზე ანიტას ფოტო განათავსა.

სასიხარულო ინფორმაცია ნიკოლოზ რაჭველმა გაავრცელა:

– ყველას მიერ, რიკარდო მუტიდან, დანიელ ბარემბოიმიდან თუ ზუბინ მეტადან დაწყებული, ნებისმიერი საოპერო ხელოვნების აპოლოგეტით დასრულებული, დედამიწის №1 მეცო-სოპრანოდ აღიარებული ჩემი მეგობრის და სასცენო პარტნიორის ანიტა რაჭველიშვილის გამო ჩემს სიამაყეს არ უჩანს საზღვარი!

კიდევ ერთ აღიარებას გილოცავ, განუმეორებელო!

„ბასტი ბუბუს“ გადასარჩენად 10.000 ხელმოწერა შეგროვდა

ყველა პატარასთვის საყვარელი ბასტი ბუბუს გადასარჩენად 10.000 ხელმოწერა შეგროვდა. პეტიცია ინტერნეტში გავრცელდა, სადაც ხელმომწერები ითხოვენ, ბასტი ბუბუს დროებით იჯარის გარეშე გადაეცეს ის ფართი, რომელშიც 28 წელია მუშაობს.

თამრიკო სხვიტარიძე, ბასტი ბუბუს ხელმძღვანელი:

– მადლობა 28 წელს, რომელიც გვზრდიდა და გვაძლიერებდა. ბასტი ბუბუ ელოდება მთავრობის გადაწყვეტილებას: თუ ის ფართი, რომელშიც ბასტი ბუბუ 28 წელია მუშაობს და უვლის, ბასტი ბუბუს გადაეცემა დროებით იჯარის გარეშე და ჩამოეწერება პანდემიის გამო დაგროვილი იჯარის ვალი, ბასტი ბუბუ შეძლებს განაგრძოს მუშაობა საქართველოს ბავშვების სასარგებლოდ.

თუ მთავრობა, რაიმე მიზეზის გამო, ვერ დააკმაყოფილებს ჩვენი პეტიციის მოთხოვნას, მაშინ შპს ბასტი ბუბუ გამოცხადდება გაკოტრებულად და განაგრძობს არსებობას მხოლოდ იმ ბავშვებისთვის, ვის მშობლებსაც ექნება საშუალება და სურვილი, თავისი შვილების გამო ფინანსურად მხარში დაუდგეს ბასტი ბუბუს.

სოთბის აუქციონზე მერაბ აბრამიშვილის 2 ნახატი გაიყიდა

ლონდონის სოთბის აუქციონზე ქართველი მხატვრის მერაბ აბრამიშვილის 2 ნახატი გაიყიდა.

ინფორმაცია ბაია გალელეამ გაავრცელა. აუქციონზე გასაყიდად გატანილი იყო მხატვრის ნამუშევრები „სამოთხის ბაღი“ და „კუმაუნის კაციჭამია“. პირველი ნახატი 50.400 ფუნტ სტერლინგად შეიძინეს, ხოლო მეორე – 44.100 ფუნტ სტერლინგად.

მერაბ აბრამიშვილის ნამუშევრები სოთბის აუქციონზე სისტემატურად იყიდება.

ნათია თოდუას სიმღერა რჩეულთა შორის მოხვდა

გერმანული „ვოისის“ გამარჯვებულის ნათია თოდუას სიმღერა საუკეთესო ტოპ ათეულში მოხვდა.

ქართველი მომღერლის მიერ გერმანული „ვოისის“ ბრმა მოსმენაზე შესრულებულმა სიმღერამ საუკეთესოთა შორის მეხუთე ადგილი დაიკავა.

ნათიასთან ერთად ტოპ ათეულში მოხვდნენ ავსტრალიის, საფრანგეთის, ნიდერლანდების, ბულგარეთის, ამერიკის, დიდი ბრიტანეთისა და ესპანეთის „ვოისის“ ბრმა მოსმენების დროს შერჩეული საუკეთესო კონკურსანტები.

სტატისტიკა „ვოისის“ ოფიციალურმა გვერდმა შეადგინა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოხვოხდი ›



შვეულად: 1. მაკლერის გასამრჯელო ბირჟაზე; 2. მეფის საჭმლის გამსინჯავი-შემმოწმებელი პირი ძველად საქართველოში; 3. კუთხმზომი გეოდეზიური ხელსაწყო; 4. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 5. ტროას აღმომჩენი გერმანელი არქეოლოგი, მილიონერი, მეცენატი; 8. არსებობის ყოველგვარ საშუალებას მოკლებული ღატაკი ადამიანი; 9. ტყუპი ცხოველის ძველი ქართული სახელწოდება; 12. ქართველი მოქანდაკე ქალი; 13. ძვირფასი ლითონი; 16. აკაკი წერეთლის მშობლიური სოფელი; 17. ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური მოქმედების სრული დაქვეითება, უუნარობა; 19. პატარა თავებად შეკრული თეთრი ან ყვითელი ფერის ყვავილების მსხმოიარე მერქნიანი მცენარე; 20. სასიგნალო კოშკი ზღვის სანაპიროზე.

თარაზულად: 6. თამარ მეფის დედის სახელი; 7. მთიანეთი აზიაში; 8. ზომიერი კლიმატური სარტყლის სახელწოდება აშშ-ში; 10. ქართული ძილისპირული; 11. ქალაქის ტიპის დასახლება; 14. სასტუმრო თბილისში; 15. ფრანგი პოლიციელი; 18. რაიონული ცენტრი კახეთში; 21. ცხენოსნობის ერთ-ერთი დისციპლინა; 22. მტრედის ბარტყი; 23. ძალზე მტკიცე მინერალი, ძვირფასი ქვა; 24. ქართველი პიანისტი ქალი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა